ალია
50 თ

## გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ გაფრთხილებთ:

1. მიეცით აცილება მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს — მისი განაჩენი შესაძლოა, უსამართლო აღმოჩნდეს!!!

2. ყურადღებით ნახეთ სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოში“ საყიდელი პროდუქტი ხომ არ ყარს?

12–13

N63 2993/ 29 აპრილი 2014 წ ფასი 50 თ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

### ვინ დაბლოკა პარლამენტიდან პროკურატურისთვის გადასაცემი სკანდალური დასკვნა?



## მამა ელიზბარ დიაკონიძე: „ამის წინააღმდეგ ვიკრიბებით ოთხშაბათს 12 საათზე, რუსთაველზე პარლამენტის წინ“



„არიქა, სასწრაფოდ, ხვალვე უნდათ, მიიღონ! რამდენი კაციც ჰყავს „ოცნებას“ პარლამენტში, დავიჯერო, რომ მანდ კაცი აღარ დარჩა?“

### 7 მაისამდე არამდგრადი ამინდი და სეტყვაა მოსალოდნელი



გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების განყოფილების ხელმძღვანელის, დოდო გვაზავას განცხადებით, 7 მაისამდე კვლავ ცუდი ამინდია მოსალოდნელი.

„არამდგრადი ამინდი საქართველოში კიდევ რამდენიმე დღე შენარჩუნდება. დასავლეთში შესაძლოა, უკეთესი ამინდი იყოს, რასაც ვერ ვიტყვით აღმოსავლეთზე. აქ მოსალოდნელია ღამით ხანმოკლე წვიმა ელჭექით და შესაძლებელია სეტყვაც. ცალკეულ დღეებში, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ქარი 17-22მ/წმ-იდან 20-25 მ/წმ-დე გაძლიერდება. ტემპერატურის კლება მოსალოდნელი არ არის. 29 აპრილიდან ტემპერატურა პირიქით, მოიმატებს, აღმოსავლეთ საქართველოში 21-26 გრადუსს ვვარაუდობთ, თუმცა მაისის პირველ რიცხვებში ამინდის გარკვეულ ცვლილებებს არ ველით“, – განაცხადა დოდო გვაზავამ. (სამოქალაქო პრესა)

### რისი ეშინია გენერალ წითელაშვილს და რაში ადანაშაულებს გოგა ონიანი



## ჯონდი ბაღათურია: „ქართულმა ოცნებამ“ პირდაპირი მუქარის წესით აუკრძალა ბიზნესს ოპოზიციური პარტიების დაფინანსება“



„დავისახელებთ ერთ კომპანიას „კოკა კოლას“, რომელმაც უარი განაცხადა საერთოდ წერილის ჩაბარებაზე, ამისაც კი შეეშინდა“

### ვინ თაღლითობს „მოგებული ჯეკპოტის საქმეში“?



### „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზა მუშაობას 15 მაისამდე წყვეტს



თბილისის მერიის ინფორმაციით, ტექნოლოგიური პროცესებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოებისა და გამწევი ბაგირის შეცვლასთან დაკავშირებით, „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზამ მუშაობა დროებით შეწყვიტა.

„რიყისა და ნარიყალას დამაკავშირებელი საბაგირო 2012 წლიდან ემსახურება თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს. გახსნის დღიდან დღემდე საბაგირო 1 298 124 მგზავრს მოემსახურა. აღნიშნული გეგმური სამუშაოების განხორციელებაც სწორედ მგზავრების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის ხორციელდება“, – აღნიშნულია მერიის განცხადებაში. საბაგირო გზა მუშაობას 15 მაისს განაახლებს. (ინტერპრესნიუსი)

## ეს იყო მძღოლი ამომრჩევლების „ქართული ოცნება?!“



მძღოლებისთვის „ნაცების“ დაკანონებული რომელი სასჯელები დაამძიმა „ოცნებამ“

### ვასო ფხაკაძემ ცოლი შეირთო



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# ჯონდი ბაღათურია: „ქართულმა ოცნებამ“ პირდაპირი მუქარის წესით აუკრძალა ბიზნესს ოპოზიციური პარტიების დაფინანსება“

## „დაგისახელებთ ერთ კომპანიას „კოკა კოლას“, რომელმაც უარი განაცხადა საერთოდ წერილის ჩაბარებაზე, ამისაც კი შეეშინდა“

„ქართული დასის“ ლიდერის, ჯონდი ბაღათურიას თქმით, ქვეყანაში დატერორებულია ბიზნესი და ბიზნესმენებს აკრძალული აქვთ ფულის დახარჯვა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისთვის.

„მოვუწოდებ ყველას, ბიზნესმენებს, აიმაღლონ ხმა. მეგობრებო, თქვენ კიდევ ერთხელ გაგატყავებენ, იმავე მდგომარეობაში ჩაგაგდებენ, როგორშიც სააკაშვილის დროს იყავით. სააკაშვილს მოწინააღმდეგე, დამაბალანსებელი ძალა არ ჰყავდა და ასე ატყავებდა დაუსჯელად ბიზნესს 9 წლის განმავლობაში. აქეთკენ მიდის დღეს ყველაფერი. ბიზნესი გაფრთხილებულია, რომ ოპოზიციურ პარტიებში ფული არ უნდა დაიხარჯოს. ქართულ ბიზნესს უკრძალავენ ქართული პოლიტიკური ოპოზიციის დაფინანსებას. ეს უქმნის ოპოზიციას პრობლემას, თანაზომადი კონკურენცია გაუწიოს ხელისუფლებას“.

**„ალიას“ ჯონდი ბაღათურია ესაუბრა:**

— პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ აშკარა და აგრესიული ფორმით ხდება მთელი ძალაუფლების კონცენტრაცია ერთ ხელში, რაც პირდაპირ ნიშნავს ძალაუფლების უზურპაციასა და ავტორიტარულ მმართველობას. ჩვენ უკვე გამოვიარეთ ეს მმართველობა, ოღონდ მაშინ ეს ძალაუფლება კონცენტრირებული იყო პრეზიდენტის ხელში. ახლაც ხდება ამ ძალაუფლების კონცენტრაცია, ოღონდ ლეგალური სამთავრობო სტრუქტურის გარეთ.

**— ივანიშვილს გულისხმობთ?**

— დიახ, ამ დროს ივანიშვილი არის კერძო პირი ფორმალურად და მას არავითარი სახელისუფლებო პოსტი არ უჭირავს. ეს კიდევ უფრო დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან ქვეყანას მართავს არა პარლამენტი და მთავრობა, არამედ ერთი ადამიანი გვერდიდან. ეს არის ოლიგარქიული მმართველობა, რომელიც ხდება ლათინოამერიკის ქვეყნებში, რომლებიც მერე სახელმწიფოებად ვერ ვითარდებიან ხოლმე, როგორც წესი.

**— კი, მაგრამ ბიზნესმენები თავად ამბობენ, ამოვისუნთქეთო.**

— ბიზნესი არის უმძიმეს მდგომარეობაში, მიმდინარეობს ბიზნესების ხელახალი გადანაწილება ამჯერად უკვე „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ხალხის ზურგსუკან. ბიზნესის მონოპოლიზაცია ისევ გრძელდება, უბრალოდ სახელები და გვარები ზოგან შეიცვალა, ზოგან ჩანაცვლდა ახალი სახელებითა და გვარებით. კლანური მმართველობის ერთი შემადგენლობა მეორემ ჩაანაცვლა, ამიტომ ბიზნესი ისევ დაშინებულია. ამის ნათელი მაჩვენებელია სამუშაო ადგილები. როცა ბიზნესი ვითარდება, ჩნდება სამუშაო ადგილები, არადა, ჩვენ ხომ ყოველდღიურად გვესმის, რომ სამუშაო ადგილებს კარგავს ხალხი? ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბიზნესი ვერ ვითარდება. გარდა ამისა, ბიზნესს პირდაპირი მუქარის წესით აუკრძალა „ქართულმა ოცნებამ“ ქართული პოლიტიკის დაფინანსება. კონკრეტულად კი არასაპარლამენტო პარტიების, რადგან აბა, სხვას რად უნდა დაფინანსება? „ქართულ ოცნებას“ ისედაც აქვს 7 მილიარდი და კიდევ მოასწრეს საკმაოდ დიდი რაოდენობის ქონების დაგროვება. „ნაციონალურ მოძრაობას“ კი 7 მილიარდზე ნაკლები ფული არ აქვს ნაქურდალის სახით, თუ მეტი არა.

**— ბიზნესმენებს სთხოვეთ დახმარება, უარი მიიღეთ და ამის გამო გააკეთეთ განცხადება?**

— დიახ, უბრალოდ კი არ ვთხოვეთ, ბევრ ბიზნესმენთან მქონდა საუბარი და ამ წნეხზე ბიზნესმენები პირად საუბარში თავად ამბობენ. კი არ ვთხოვე მათ ფული, ავდექი და დავაგზავნე ოფიციალური წერილები, პარტიის ბლანკზე, რეგისტრაცია გავიარე და კონკრეტული ტექსტით მივწერე ყველა ბიზნესმენს, ბლანკზე იყო მითითებული რეკვიზიტები. ამან გამოიწვია დიდი შიში, იყო კომპანიები, რომელთაც თქვეს, წერილს არ ჩავიბარებთო. ამ წერილის ჩაბარებისაც კი შეეშინდათ.

**— დამისახელეთ კონკრეტული კომპანიები, ვინც ამას აკეთებდა.**

— არ მინდა დასახელება, რადგან ჩემი სამიზნე ბიზნესი და მათი საქციელის კრიტიკა კი არაა, არამედ პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება მათ მიმართ ახორციელებს. დაგისახელებთ ერთ კომპანიას „კოკა კოლას“, რომელმაც უარი განაცხადა საერთოდ წერილის ჩაბარებაზე, ამისაც კი შეეშინდა. კომპანიას არ ვადანაშაულებ, მე მესმის მათი. თანავუგრძნობ მათ გულწრფელად.

**— კონკრეტულად ვისი მითითებით მიდის წნეხი ბიზნესზე?**

— ზედა ეშელონებიდან. ამ საკითხზე ვმუშაობ და მტკიცებულებები რომ მექნება ხელში, კონკრეტულ გვარებსაც დავასახელებ.

**— განცხადებებით ამ საქმეს რომ არ ეშველება, ხომ იცით. რას აპირებთ?**

— ყველაფერი გააკეთა ხელისუფლებამ, რომ არსებობის საშუალება არ გვქონოდა, არათუ ფუნქციონირების. არამხოლოდ ფინანსები, საკანონმდებლო ინიციატივების დონეზეც სრული იგნორია. 2 თვე ვმუშაობდით საარჩევნო გარემოს შესაცვლელად და მაინც ხათუნა გოგორიშვილის კოდექსი იქნა მოწოდებული. არაფერი არ გავიდა ჩვენი. სააკაშვილიც ასე აკეთებდა და დაემხო, ამათი ძალაუფლებაც დაემხობა კანონიერად და კონსტიტუციურად. ყველა წითელი ხაზი, რაც არსებობდა, ქართველმა ხალხმა გადალახა, ამასაც მოევლება.

**საინტერესოა „კოკა-კოლას“ ადმინისტრაციის პასუხი. თუ კი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას მოისურვებენ, „ალია“ მათაც მოუსმენს.**

» ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა კავშირი აქვს დავით თევზაძეს ახალ პოლიტიკურ პარტიასთან?



წინასაარჩევნოდ ქართულ პოლიტიკურ სივრცეს კიდევ ერთი ახალი პარტია „საქართველოს ძალოვანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ შეემატა. პარტიაში, რომელსაც გია ბერძენიძე ხელმძღვანელობს, ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები, ვეტერანები, იურისტები, ადვოკატები არიან გაერთიანებულნი. პარტიის სათათბიროს ერთ-ერთი წევრი და კონსულტანტი თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძეა.

პარტიის თანადამფუძნებლის, ყოფილი გენერლის, გოდერძი ხუჯაძის თქმით, მათი პარტია თვითმმართველობების არჩევნებში, დედაქალაქის გარდა, თავიანთ კანდიდატურებს ყველა რაიონში წარადგენს. პარტიაში მიიჩნევენ, რომ ვეტერანებისთვის ცხოვრება ბევრად უფრო გაიოლებული, მათი ღვაწლი დაფასებული უნდა იყოს. როგორც ხუჯაძე აცხადებს, პარტია ვეტერანებისთვის სწორედ აღნიშნული გარემოს შექმნისთვის იბრძოლებს.

„ჩვენ პოლიტიკურ ასპარეზზე სახელისუფლებო ცვლილების ამბიცია არ გვაქვს. პარტიის მთავარი მიზანია მთელი საქართველოს მასშტაბით ვეტერანების, მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვისთვის ბრძოლა. ჩემი პირადი აზრია: კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დავით ნარმანია ალალ-მართალი ადამიანი და ღირსეული კანდიდატია. ჩვენი პარტიის თავმჯდომარე გია ბერძენიძე – ყოფილი ძალოვანი, რომელიც აქტიურად ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს და მათ მიერ ვეტერანების უფლებების დარღვევის ფაქტებს. ახალი ხელისუფლების პირობებში ვეტერანების პირობები შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია და გვინდა, რომ ხელისუფლებას ჩვენი რეკომენდაციებით დავეხმაროთ“, – განაცხადა გოდერძი ხუჯაძემ. (კვირა)

## რა საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს მეტრო?



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მჟავანაძის ინფორმაციით, 2010 წლის შემდეგ მეტროსადგურების მდგომარეობა არავის შეუმოწმებია.

მისი თქმით, თბილისის რამდენიმე მეტროსადგური რეაბილიტაციის შედეგად პლასტმასებით შეკეთდა.

„საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ მეტროსადგურების „წერეთლის“, „ახმეტელის“ „რუსთაველის“ და „300 არაგველის“ რეაბილიტაციის დროს გამოყენებული მასალა ადვილად აალებადია, რაც კანონის უხეში დარღვევაა. 4 წელია არავინ იცის, რა მდგომარეობაშია გვირაბები, სად რამდენი წყალი ჩადის და ასე შემდეგ. ახალმა ხელისუფლებამ ეს თემა უნდა შეისწავლოს. უნდა დაიდოს დასკვნა, შეკეთდა თუ არა მეტრო აალებადი მასალით. მაშინ კედლები სხვა მასალით უნდა შეიცვალოს. მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ამ საკითხს ბოლომდე მივყვებით. საქმე ათასობით მოქალაქის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას ეხება“, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში კი აცხადებენ, რომ მეტროსადგურში სარემონტო სამუშაოები კანონის სრული დაცვით განხორციელდა. მათივე თქმით, საშიშროების არანაირი წინაპირობა არ არსებობს. (კვირა)

## ირაკლი ღარიბაშვილი: ქვეყნის დეოკუპაციისთვის ყველა გზასა და საერთაშორისო მექანიზმს გამოვიყენებთ



როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჩვენკენ მოვატრიალოთ აფხაზი და ოსი ძმები, საქართველო მათთვისაც მიმზიდველი და სასურველი ქვეყანა გავხადოთ.

„ძალიან მალე საქართველო ხელს მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ეს იქნება ევროპაში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საქართველოს ევროპული ინტეგრაცია მისცემს ჩვენს ქვეყანას გაცილებით მეტ შესაძლებლობებს, ააშენოს დემოკრატიული ინსტიტუტები, უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების თავისუფლება და უსაფრთხოება. ეს სასარგებლო იქნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ჩვენი რეგიონისთვის. ჩვენ გავხდებით ლიდერი რეგიონში“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, საქართველო უნდა გახდეს დემოკრატიული, სამართლიანი, მშვიდობიანი და მიმზიდველი ქვეყანა.

„სამწუხაროა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნებს ვერ ვატარებთ, მაგრამ გვაქვს იმედი, რომ გამოვიყენებთ ყველა მშვიდობიან ხერხს, ყველა გზასა და საერთაშორისო მექანიზმს ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციისთვის. მჯერა, დადგება დრო და ჩვენი სამშობლო ისევ იქნება ერთიანი და ძლიერი“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. (კვირა)

## კახი კახიშვილი: „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ ცოლ-ქმრის ურთიერთობა აქვთ



საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორი, კახი კახიშვილი, „ნაციონალურ მოძრაობისა“ და „ქართულ ოცნების“ ურთიერთობას ცოლ-ქმრისას ადარებს.

კახიშვილის განმარტებითვე, მისთვის გაუგებარია მორატორიუმის გამოცხადების ფაქტიც.

„რაღაც ისე მეჩვენება, ცოლ-ქმრის ურთიერთობა აქვთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ – ზოგჯერ რომ ჩხუბობენ და ძირითადი დრო რომ მაინც ერთმანეთის ფერებაში არიან, უერთმანეთოდ არ შეუძლიათ. ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, საერთოდ გაუგებარია, რას ნიშნავს მორატორიუმი. იმიტომ რომ, თუ არის აუცილებლობა კონკრეტული სამართლებრივი საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა, როგორ შეიძლება ამის გადავადება და თუ შეიძლება გადავადება, ესე იგი აუცილებლობა არ იყო. მორატორიუმი იმაზე, რომ ქათმის ქურდი რამდენიც გინდა იმდენი დაიჭირე და ბიუჯეტის ქურდი არ დაიჭირო, იმიტომ რომ მორატორიუმი გვაქვს, სამართლებრივად არც ერთ ჩარჩოში არ ჯდება. თუ საუბარი იმაზეა, რომ პოლიტიკური შერჩევითობა არ უნდა იყოს, ისედაც არ უნდა ყოფილიყო, სულ რომ არჩევნები არ იყოს“, – აცხადებს კახიშვილი. (ნიუპოსტი)



გაგისწორდებითო. ეს „ზონდერები" ისეთი გაწვრთნილები არიან ხალხის დატერორებაში, რომ მუქარასა და ტერორში ვერავინ აჯობებთ, ხალხს აშინებენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ონიანი დღემდე დაუსჯელი დადის და ბედავს არჩევნებში მონაწილეობას.

სამწუხაროდ, დღეს სასამართლო ისევ სააკაშვილისა და კუბლაშვილის ხელშია და ვერც ონიანი, ვერც სხვა კრიმინალი, რომელთაც დანაშაული ნამდვილად აქვთ ჩადენილი, არ სთხოვენ პასუხს. უამრავი ადამიანი ადასტურებს იმას, რომ გოგა ონიანისა და მისი მეგობრებისგან დღემდე განიცდიან ტერორსა და მუქარას. ჰპირდებიან ხალხს, ისე მოგექცევით, როგორც ახლა დაიმსახურებთო. მეტსაც გეტყვით, მათ გამოყოფილი აქვთ ჯგუფური შეხვედრის ადგილე- მართლა არ აქვთ მისვლის უფლება.

მე მგონია, რომ დღეს ღარიბაშვილი მარტო არის გასული ბრძოლის ველზე ასეთი კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ. ჩემი და ყველას ვალია, მაქსიმალური მობილიზაცია გავუკეთოთ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას. 2012 წელს ხომ მოხდა თვითმობილიზაცია? ახლაც ეს დროა. არ უნდა დაბრუნდნენ ონიანისნაირი ადამიანები ხელისუფლებაში და ეს ხელისუფლება არ უნდა გამოიყენონ თავიანთი კრიმინალური წარსულის დასაფარად და თავის გადასარჩენად. დაშინებული ამომრჩევლის კარგად მესმის, მაგრამ მეამაყებოდა, როცა ვაზისუბანში მითხრეს, უზარმაზარი შიში მოგვეხსნა, როცა „ნაციონალები" გავისტუმრეთ და ახლა ვერც ონიანი შეგვაშინებს და ვერც ვერავინო. ამბობენ, ვერ მიხვდნენ ესენი, რომ აღარ გვეშინია ოჯახში შემოვარდნისა და ტერორისო. მე ვაზისუბანში მეომარ ბიჭებსაც შევხვდი და ახალ თაობასაც. ასე მითხრეს, თუ ჭკუით არ მოიქცევიან ეგენი, გამოვალთ და აქეთ დავამტვრევთ ცხვირ-პირს, როგორც აქეთ გვემუქრებიანო. ახლა ვიცით, ღირსებას როგორ გავუფრთხილდეთო, ამბობენ. ვაზისუბანში ონიანის სახელის გაგონება და დანახვა არ უნდათ.

**— ვინ არიან კონკრეტულად, ვინ მუშაობს ონიანზე, გაარკვიეთ?**

– რა თქმა უნდა, სოდ-ის, კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები და „თავისუფალი ზონის" აქტივისტები დაჰყვებიან თან. ყველა ამ ადამიანის ამოცნობა შეიძლება, თუ ნახავთ დარბევ-

# რისი ეშინია გენერალ წითელაშვილს და რაში ადანაშაულებს გოგა ონიანი

**მართალია, ზედიზედ მესამე ნომერში გვიწევს საპატიო გენერალ ტრისტან წითელაშვილთან საუბარი, მაგრამ ამჯერად თავად დაგვიკავშირდა და როგორც გვითხრა, ძალიან საინტერესო ინფორმაციები მიაწოდეს სააკაშვილის ყოფილ „ზონდერ" გოგა ონიანზე და ეს საზოგადოებამაც აუცილებლად უნდა გაიგოს.**

**ტრისტან წითელაშვილი:**

– როცა გოგა ონიანი ხელისუფლებაში იყო, თავის თანამდებობას ყოველთვის ხალხის წინააღმდეგ იყენებდა, დღეს ის როგორ უნდა იყოს უფლებადამცველი? როგორ უნდა დაუშვას ხალხმა მისი საკრებულოს წევრობა და იმ ხალხის ნების გამომხატველად როგორ უნდა იქცეს, რომელსაც სცემდა, აწამებდა და ავიწროებდა? იგივეს აგრძელებს დღესაც, რასაც ადრე აკეთებდა. მოგახსენებთ უფრო კონკრეტულად. ვიყავი ვაზისუბანში, უამრავ ხალხს შევხვდი, ჩემს ახლობლებს, მეგობრებს და ერთი კი არა, რამდენიმე წყაროსგან მაქვს ინფორმაცია, რომ გოგა ონიანის „ზონდერჯგუფები" დათარეშობენ და ხალხს ატერორებენ ვაზისუბანში. როგორც წარსულში მოქმედებდა, როცა მიტინგებს არბევდა და ხალხს ატერორებდა, ისე მოქმედებს ახლაც. ის ადამიანები, რომლებსაც მაშინ ეყრდნობოდა და ვინც გვერდით ჰყავდა, ახლა არჩევნებში მის გამარჯვებაზე მუშაობენ. ის იყო „ზონდერბრიგადის" ერთ-ერთი მეთაური, რომელიც ბაჩანა ახალაიას მითითებით მოქმედებდა, ახლა ამ ხალხს არჩევნების მოსაგებად იყენებს. ზოგი მათგანი გაქცეულია, ზოგი ციხეშია, ვის დავალებებსაც ის ასრულებდა, ის აქაა და სჭირდება რეაბილიტაცია, ამისთვის კი არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა და მოიგოს, ამიტომ არაფერს ერიდება. ჯგუფის მობილიზაცია გააკეთა გიორგი ონიანმა ვაზისუბანში, რომლებიც მიდიან ოჯახებში, პირდაპირ უვარდებიან ხალხს, ატერორებენ და ეუბნებიან, თუ ხმას არ მოგვცემ, ჩვენ მაინც მოვალთ ხელისუფლებაში და მერე გაგიხსენებთო. ეუბნებიან, თქვენ ხომ არ გგონიათ, მართლა წავიდნენ „ნაციონალები" ხელისუფლებიდანო, მზადდება ნიადაგი ჩვენს დასაბრუნებლადო და ვინც ხმას არ მოგვცემთ, მერე ყველას სათითაოდ ბი, სადაც იგეგმება სამოქმედო სცენარი, იკრიბებიან იქ, მერე მოსახლეობის ნაწილს ცალ-ცალკე ხვდებიან, იქ მიმდინარეობს საქმეების გარჩევა და მუქარა. ხალხში გადიან და უშვებენ ინფორმაციას, რომ სააკაშვილი მალე დაბრუნდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ხელისუფლებაში და ყველას სახელსა და გვარს გადავცემთ, ვინ არის ჩვენი მომხრეო. ასევე ეუბნებიან, ხომ იცით, რა მეთოდებით ვმართავდით ხელისუფლებას, კი არ დაგვავიწყებიაო.

**— შეგიძლიათ, ფაქტი დამისახელოთ, ვის შეუვარდნენ და დაემუქრნენ?**

– ეს ადამიანები ჩემი ახლობლები არიან, პატარები ჰყავთ ოჯახებში და მათ უსაფრთხოებას საფრთხეში ვერ ჩავაგდებ, ვერ ავიღებ ჩემს თავზე ამ პასუხისმგებლობას. კი მოვიდა სხვა ხელისუფლება, მაგრამ სწორედ ამ ხელისუფლებაშია გარკვეული დაჯგუფებები, რომლებიც ხელს აფარებენ დღეს „ნაციონალური" მოძრაობის კრიმინალურ წარსულსა და იმ მაღალჩინოსნებს, რომლებიც ტელეეკრანიდან ომახიანად გვესაუბრებიან. ისეთი თავაწეულები დადიან იმ უბნებში ურცხვად, სადაც



**„ჯგუფის მობილიზაცია გააკეთა გიორგი ონიანმა ვაზისუბანში, რომლებიც მიდიან ოჯახებში, პირდაპირ უვარდებიან ხალხს, ატერორებენ და ეუბნებიან, თუ ხმას არ მოგვცემთ, ჩვენ მაინც მოვალთ ხელისუფლებაში და მერე გაგიხსენებთო"**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს პრეზიდენტი: ეს ეროვნულ იდენტობას არღვევს!



გიორგი მარგველაშვილი Google Voice-ის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელი ქვეყნების სიაში შეყვანას ესტონეთში ვიზიტის დროს გამოეხმაურა.

„მინდა, საუბარი ნეგატიური მაგალითით დავიწყო. მე ჩამოვედი ქვეყნიდან, რომელმაც ხუთი წლის წინათ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე ძლიერი თავდასხმა განიცდა, განსაკუთრებით, ინტერნეტსფეროში. ჩვენი უსაფრთხოება და დაცულობა დაიკარგა რუსეთთან ომის დროს, რეალურ ფიზიკურ ომთან ერთად ის ციფრულ სფეროსაც შეეხო. ჩვენ კიდევ ბევრი სხვა პრობლემა განვიცადეთ. 2008 წლის კონფლიქტის დროს ჩემი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია განხორციელდა, მილიონ-ნახევარი ადამიანი კი დევნილად იქცა. ახლა, როდესაც ჩვენ აფხაზეთს, ერთ-ერთ ოკუპირებულ რეგიონს, Google-ში ვეძებთ, ის სიაში როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ისეა შეყვანილი, რაც ძალიან პრობლემურია. ეს არღვევს იმას, რასაც ჩვენ ეროვნულ იდენტობას ვეძახით", – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა ტალინში, კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.

Google Voice-ს ქვეყნების ჩამონათვალში აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, ჰყავს შეყვანილი. იმ ქვეყნების ჩამონათვალში (ანბანის მიხედვით), სადაც საერთაშორისო ზარების განხორციელებაა შესაძლებელი, პირველივე აფხაზეთია. აღსანიშნავია, რომ Google Voice-ის ჩამონათვალში ოკუპირებული რეგიონი – სამხრეთ ოსეთი არ არის. ფაქტს საქართველოს საგარეო უწყებაც გამოეხმაურა და Google-ს დაუკავშირდა. (ნიუპოსტი)

## ქართველი ფეხბურთელისთვის „გუჩის" საათი უიღბლო აღმოჩნდა

თურქმა სამართალდამცველებმა სტამბულის აეროპორტში ქართველი ფეხბურთელი დააკავეს. თურქული მედიის ინფორმაციით, დაკავების მიზეზი 16 წლის სპორტსმენის ხუმრობა გახდა. არასრულწლოვანმა ბორტგამცილებელს უთხრა, რომ მას ე.წ. საათი ბომბი ეკეთა.

ამის შემდეგ პილოტი აეროპორტის პოლიციას დაუკავშირდა, რის გამოც, მგზავრებს თვითმფრინავი დაატოვებინეს, სპორტსმენი კი სამართალდამცველებმა ადგილზე აიყვანეს.

რეისი სტამბული-თბილისი სამსაათიანი დაგვიანების შემდეგ შესრულდა, 16 წლის ირაკლი ბუღრიძე კი თურქეთის პოლიციამ ერთსაათიანი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლა.

არასრულწლოვანი სპორტსმენი თბილისში მენეჯერთან ერთად დაბრუნდა.

„თურქეთიდან თბილისში ტრანზიტულად, სტამბულის გავლით მოვდიოდით. „გუჩის" საათი მეკეთა. თვითმფრინავში გვერდზე მჯდომ მეგობარს ვეუბნებოდი, ნახე, რა „ბომბა საათი" მაქვს-მეთქი. ამ დროს ჩაიარა ბორტგამცილებელმა და მკითხა, რა თქვიო. შემდეგ წავიდა. უცბად სპეცრაზმი შემოვიდა და რეისიდან მომხსნეს. განყოფილებაში რომ წამიყვანეს, ნახევარ საათში შეამოწმეს ყველაფერი. როდესაც მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, ნორმალურად მექცეოდნენ. თვითმფრინავში უხეშად მომექცნენ. საათი დამიმტვრიეს", – იხსენებს ფეხბურთელი

ინციდენტის გარკვევაში, თურქეთში საქართველოს საელჩო და ფეხბურთის ფედერაცია მონაწილეობდნენ.

საქართველოს ნაკრები თბილისში მაკედონიიდან ბრუნდებოდა. (კვირა)

*მესამე გვერდიდან*



„ხალხში გადიან და უშვებენ ინფორმაციას, რომ სააკაშვილი მალე დაბრუნდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ხელისუფლებაში და ყველას სახელსა და გვარს გადავცემთ, ვინ არის ჩვენი მომხრეო. ასევე ეუბნებიან, ხომ იცით, რა მეთოდებით ვმართავდით ხელისუფლებას, კი არ დაგვავიწყებიაო“

ის კადრებს მათი მონაწილეობით. ახლა იგივე მეთოდებით ცდილობენ, მოაგებინონ მათ კანდიდატს, რაც მათთვის ჩვეულია. სხვათა შორის, მე სრული ინფორმაცია მაქვს ონიანის წარსულზე, მის გამო ორ ადამიანს 7 წელი მისცეს, რომ კონკრეტული დავალება არ შეასრულეს. მოვა დრო, ეს ადამიანები გამოვლენ და ისაუბრებენ ამ ჯალათის წინააღმდეგ. მალე აეხდება ფარდა იმასაც, რას აიძულებდა ის პატიმრებს და როგორ აყურებინებდა ერთ პატიმარს მეორის წამებას, რომ ამით მიეხვედრებინა, რა მოელოდა, თუ მის დავალებას არ შეასრულებდა. პირადად გიორგი ონიანი მონაწილეობდა პატიმრების ცემასა და წამებაში. დღეს ის ვაზისუბნის მოსახლეობას კი არ უნდა ხვდებოდეს, პროკურატურასა და სასამართლოში უნდა იყოს. მოსახლეობას კი არა, მოსამართლეს უნდა სცემდეს პასუხს. როგორც არ უნდა ეცადოს, ის ვერ მოირგებს პოლიტიკურ მანტიას, პასუხს აგებს. მას უნდა, ციხეში შევიდეს როგორც პოლიტპატიმარი, მაგრამ ის შევა, როგორც კრიმინალი და ეს გარდაუვალია. ჩვენ რას გვედრებიან? ჩვენ ქვეყნისთვის ვიბრძოდით და ამის გამო გვაქციეს პატიმრებად. ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ, რომ ახალაიები და ონიანები არ დაბრუნდნენ. ყბამონგრეული გივი თარგამაძეც ასე ელოდება ხელისუფლებაში დაბრუნებას, მაგრამ მალე შოკისმომგვრელ ინფორმაციას გავამჟღავნებ მასზე და დავარწმუნებ საზოგადოებას, როგორ იყო ის ჩართული საერთაშორისო ტერორიზმში. რამდენიმე დღეში ექსკლუზიურად მოგცემთ ამ ამბავს თავისი დოკუმენტით, რომ ზედმეტი კითხვები არ გაჩნდეს. ყველაფრის სიზუსტეზე პასუხს ვაგებ. მე ვიწყებ ამ ნაძირალების ლუსტრაციის ეტაპს, ქართველი საზოგადოება მალე გაიგებს ბევრ სიახლეს, რაც აქამდე არ იცოდა.

**ბრალდებებთან დაკავშირებით „ალია“ ადვოკატ გოგა ონიანს დაუკავშირდა:**

**— ბატონო გოგა, მითხრეს, ვაზისუბნის მოსახლეობას ემუქრებით და ამ გზით გინდათ არჩევნების მოგება...**

– ბოლო ერთი თვეა, ინტენსიურად ვხვდები ვაზისუბნის მოსახლეობას და დეტალურად ვსწავლობ მათ წინაშე მდგარ პრობლემებს. ეს ის უბანია, სადაც დავიბადე და გავიზარდე, აქედან გამომდინარე, დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული ვაზისუბნის მოსახლეობის მიმართ. ტრისტან წითელაშვილი არის ტიპური უპასუხისმგებლო, მარგინალი ადამიანი, რომლის აბსურდულ განცხადებებს, სერიოზულად არ აღვიქვამ და არა მგონია, საზოგადოების რომელიმე ნაწილი აღიქვამდეს.

პირადად საერთოდ არ ვიცნობ ამ ადამიანს, მაგრამ მისი რეპუტაცია მაძლევს უფლებას, ვიფიქრო, რომ სახელისუფლებო პარტია, მას შემდეგ, რაც ვერაფერი გააწყო პროკურატურის გამოყენებით და საზოგადოებამ კარგად დაინახა ჩემ მიმართ არსებული ბრალდების აბსურდულობა და ასევე კარგად ხედავს არსებულ პოზიტივს ჩემი უბნის მოსახლეობის მხრიდან, გადავიდა მარგინალი ადამიანების გამოყენებაზე და ცდილობს შავი პიარის აგორებას. რაც დაუკვეთეს, იმას ლაპარაკობს.

**საინტერესოა „კოკა-კოლას“ ადმინისტრაციის პასუხი. თუ კი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას მოისურვებენ, „ალია“ მათაც მოუსმენს.**

**ჟანა ასანიძე**
**558 00 16 16**



„სოდ-ის, კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები და „თავისუფალი ზონის“ აქტივისტები დაჰყვებიან თან. ყველა ამ ადამიანის ამოცნობა შეიძლება, თუ ნახავთ დარბევის კადრებს მათი მონაწილეობით“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნების“ მერის თანამდებობაზე ასარჩევი 12 კანდიდატიდან 12-ვე მამაკაცია



სამწუხაროდ, არჩევანი არ იყო ფართო და ეტყობა, ტრადიციაც მოქმედებს, – ასე ხსნის საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი იმ ფაქტს, რომ სახელისუფლებო კოალიციამ მერის თანამდებობაზე ასარჩევი 12 კანდიდატიდან 12-ვე მამაკაცი დაასახელა. მისივე განმარტებით, „მაინცდამაინც მამაკაცების შერჩევა „ქართული ოცნების“ თვითმიზანი არ არის“.

„საერთოდ, როგორც ჩანს, გენდერული ბალანსის საკითხი ქართულ პოლიტიკაში უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გეგონოს. სამწუხაროა, რომ მერობის კანდიდატთა შორის ქალები არ არიან. იმედია, გამგებლებს, თბილისის საკრებულოს წევრებს შორის ქალები გამოჩნდებიან. ამასთანავე, ეს ის პრობლემა არ არის, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ახასიათებს. პრობლემა არის ქვეყნის მასშტაბით და ამ საკითხებზე აუცილებლად ვიმუშავებთ. „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში რამდენიმე მდივანია, მათ შორის ერთი – მანანა კობახიძე ქალთა საკითხებზეა კონცენტრირებული. იმედი მაქვს, უკვე მომავლისთვის ქალები აქტიურად გამოჩნდებიან. ქალებმაც უნდა იაქტიურონ, ხელოვნური შერჩევა ხშირ შემთხვევაში არ გამოდის, მაგრამ დაბალ რგოლზე, პარტიულ ორგანიზაციებში უნდა წამოვწიოთ ქალი კანდიდატები. სამწუხაროდ, არჩევანი არ იყო ფართო და ეტყობა, ტრადიციაც მოქმედებს – ქალები ცოტანი არიან პოლიტიკაში, რაც სამწუხაროა. იმედი მაქვს, სულ ცოტა ხანში, თუნდაც მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მანდილოსნები თავის სიტყვას იტყვიან და მყარად დაიმკვიდრებენ ადგილს“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ცნობისთვის, გენდერული ბალანსის დაცვის მიმართულებით საარჩევნო კანონმდებლობა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი პარტიებისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფას ითვალისწინებს, „თუკი მათ საარჩევნო სიაში განსხვავებული სქესის წარმომადგენლები იქნებიან“. ეს თანხა გაიზარდა „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით – კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ძალაში შედის მუხლი, რომლის თანახმადაც, პარტია, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს, მიიღებს დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის პარტიულ სიაში კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნება, სულ მცირე – 30%-ით“. (ინტერპრესნიუსი)

ახალი ამბები...

## პატრიარქი პარლამენტს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის გადახედვას სთხოვს



საქართველოს ეკლესია მიუღებლად მიიჩნევს ძალადობასა და დისკრიმინაციას, რადგან ქრისტიანული რელიგია სიყვარულის რელიგიაა და მისი სწავლება სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას ეფუძნება.

„ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ამ კანონპროექტში კი კონსტიტუციაში არარსებული ცნება „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ შემოტანა ხალხში დიდ ვნებათაღელვას იწვევს, რადგან ჩვენი მოქალაქეების პიროვნული უფლებები ისედაც თანაბრად დაცულია საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობით. ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად“, – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საზოგადოების აზრით, ეს კანონპროექტი იწვევს ყველა რელიგიის აღიარებული ძირითადი თეორიის ეჭვქვეშ დაყენებას.

„ევროკავშირი წარმოადგენს განსხვავებული ერებისა და რელიგიების გამაერთიანებელ მრავალფეროვან სივრცეს, რომელიც აცხადებს, რომ აღიარებს სხვადასხვა ხალხების კულტურასა და ტრადიციებს, საქართველოსთან მიმართებაშიც მზად არის, გაითვალისწინოს და პატივი სცეს ჩვენს ფასეულობებს. აღნიშნული კანონპროექტის მოთხოვნები ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება“, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მიმართავს საქართველოს პარლამენტს, გადადოს კანონპროექტის მოცემული სახით მიღება, უზრუნველყოს ეკლესიისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა მის განხილვაში, რათა მიიღწიოს შეთანხმება და ნაჩქარევმა ქმედებამ უარყოფითად არ იმოქმედოს ევროპისკენ ქვეყნის სწრაფვაზე. (ნიუპოსტი)

## „ბიძინა, შენ გაგვიცრუე იმედები“ — ცოცხები „ქართული ოცნების“ ოფისთან



პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ოფისი უცნობმა პირებმა, ცოცხებით შეამკეს. ადგილობრივმა პრესამ ინფორმაცია თვითმხილველებზე დაყრდნობით გაავრცელა.

წყაროს ინფორმაციით, მომხდარიდან რამდენიმე საათში, გამთენიისას, „ქართული ოცნების“ ოფისს, ცოცხებიდან და წარწერებიდან ადგილობრივი დასუფთავების სამსახური ათავისუფლებდა.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე წარწერის ამოკითხვა ოფისის ირგვლივ მაცხოვრებლებმა შეძლეს: „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს უღალატა“, „ბიძინა, შენ გაგვიცრუე იმედები“ და ასე შემდეგ... (ნიუპოსტი)

# ეს იყო მძღოლი ამომრჩევლების „ქართული ოცნება?!“

## მძღოლებისთვის „ნაცების“ დაკანონებული რომელი სასჯელები დაამძიმა „ოცნებამ“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2013-2014 წლებში პარლამენტში წარადგინა არაერთი კანონპროექტი, რაც მიზნად ისახავდა საგზაო მოძრაობაზე ზედამხედველობის გაუმჯობესებას, სამართალდარღვევათა ეფექტურ პრევენციასა და აღკვეთას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, საკანონმდებლო ხარვეზებისა და უზუსტობების აღმოფხვრას. დიახ, ასეთია ოფიციალური განაცხადი, ყველა კანონპროექტი მიზნად ისახავდა მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა გაუარესებას. თქვენს ყურადღებას ამჯერად შევაჩერებთ რამდენიმე აქტუალურ საკითხზე, რაც მეტად მტკივნეული იყო მოქმედი მძღოლებისთვის. მართალია, ამჯერად რამდენიმე საკითხის გამეორება მოგვიწევს, მაგრამ არის ერთი, ასე ვთქვათ, ახალი პრობლემა, რომლის შესახებაც კონკრეტულად ქვემოთ მოგახსენებთ: პირველი – ძალიან ბევრს აწუხებდა სხვადასხვა მიზეზებით ჩამორთმეული მართვის მოწმობის აღდგენის საკითხი, რამდენიმე შემთხვევაში საჭირო იყო გამოცდების ხელახლა ჩაბარება. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ამ მხრივ, ბარიერები მოიხსნა და 2013 წლის 27 დეკემბრიდან 17800 მოქალაქეს განუახლდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. ამავე დროს, განახევრდა ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის გამო მართვის უფლების შეჩერების ვადები.

მეორე – ასევე აქტუალური იყო სიჩქარის გადაჭარბებაზე დაწესებული ჯარიმები. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვატყობინებენ, 2013 წელს ეს საკითხი შეისწავლეს და დადგინდა, რომ მაღალი ოდენობის ჯარიმა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სამართალდარღვევის პრევენციას, ამიტომ შეიმუშავეს ახალი მექანიზმი და შესაბამისად, განახევრდა ჯარიმა სიჩქარის გადაჭარბებაზე.



„როგორც კი დარღვევას დაგიფიქსირებენ, ხელები ასწიეთ, დანაშაული აღიარეთ და დაიწყეთ მტკიცება, რომ მსგავს რამეს აღარასოდეს ჩაიდენთ. არ დაიბნეთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ პოლიციელებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან“

**რედ: ერთი მხრივ, ჯარიმის განახევრება კარგია და თითქოს უნდა გვიხაროდეს. სააკაშვილის ხროვამ ჩვენგან მილიონები ამოიღო და ნაწილი გზებში „ჩაათხლიშა“, დანარჩენი ჯიბეში ჩაიდო თან ყელში ამოგვიყვანა, ნახეთ, რა ავტობანებს გიშენებთო, მაგრამ სიჩქარე შეგვიზღუდა, 110 კმ/სთ-ს არ გადააჭარბოთ, თორემ დაგაჯარიმებთო და დიდი ფულიც ამოიღო. რა ქნა „ქართულმა ოცნებამ“? საჯარიმო თანხა გაანახევრა, სამაგიეროდ, სათვალთვალო კამერების რიცხვი გაზარდა და რაც მთავარია, სწრაფი სიარულისთვის განკუთვნილ ავტობანზე ისევ შეზღუდული 110 კმ/სთ დატოვა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით განახევრდა ჯარიმა ღერძულა ხაზის გადაკვეთაზეც – 100 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 50 ლარი. აღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენისთვის კი 200 ლარის ნაცვლად ჯარიმა განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით.

**რედ: შევარდნაძისდროინდელი 20-ლარიანი ჯარიმა „ნაცებმა“ 100 ლარამდე გაზარდეს! რა გააკეთა „ოცნებამ“? შევარდნაძისდროინდელი ჯარიმა ოცნებად დაგვიტოვა. მით უმეტეს, გზის საფარის ხარისხი და ქუჩების გამტარუნარიანობა ხშირად იძულებულს გხდის, ჯარიმაზე წახვიდე.**

შეიცვალა 116-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები, რომელიც ეხება ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვას – ამავე მუხლის პირველი ნაწილით ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლისთვის პირველივე შემთხვევის დაფიქსირებაზე განისაზღვრა მართვის უფლების შეჩერება 6 თვის ვადით.

**რედ: მძღოლი საჭეს მთვრალი რომ არ უნდა მიუჯდეს, ეს საკამათო არ არის, მაგრამ ევროკავშირზე „მეოცნებე“ ხალხის მიერ დაქირავებულ ხელისუფლებას ევროკავშირში მოქმედი ალკოჰოლის დასაშვები ნორმაც უნდა დაეკანონებინა და არა პირდაპირ მართვის უფლების ჩამორთმევა.**

მესამე – დღეს დიდ პრობლემად ითვლება დამუქებული მინები. შინაგან საქმეთა სამინისტროში თვლიან, რომ 50-ლარიანი ჯარიმა არაეფექტური აღმოჩნდა და დაწესდა 100

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

# დეველოპერული კომპანია $m^2$ ფინანსური სახსრების დასაბანდებლად მომხმარებელს ობლიგაციებს სთავაზობს

უკვე დღეიდან ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი ფული უკეთესად ამუშაოს – თავისუფალი ფინანსური სახსრების დაბანდება დეველოპერული კომპანია „$m^2$“-ის ობლიგაციებშია შესაძლებელი.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, რომ „$m^2$“-ის ობლიგაციები აშშ დოლარშია დენომინირებული და 1 წლის ვადა აქვს.

როგორც სიახლის ავტორები განმარტავენ, ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 1,000 აშშ დოლარია და მომხმარებელს საკმაოდ მაღალ წლიურ საპროცენტო განაკვეთს – 9.5%-ს (გადასახადებით დაბეგვრამდე) სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ობლიგაციის დამატებითი უპირატესობაა მისი გასხვისების შესაძლებლობა. „$m^2$“-ის ობლიგაციების მთლიანი გამოშვება 5 მილიონი აშშ დოლარია. ობლიგაციების განთავსების აგენტი გახლავთ „საქართველოს ბანკის“ შვილობილი საბროკერო კომპანია „ბიჯი კაპიტალი“.

ობლიგაციების გამოშვებით, დეველოპერული კომპანია „$m^2$“ახდენს მისი დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიკაციას და საქართველოში თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკას ამკვიდრებს. **სიახლით დაინტერესებულმა მომხმარებელმა „$m^2$“-ის ობლიგაციის მისაღებად უნდა მიმართოს საბროკერო კომპანია „ბიჯი კაპიტალს“ ან მის ფინანსურ შუამავალს – „საქართველოს ბანკს“.**



ამასთანავე, „$m^2$“ გეგმავს განსახორციელებელი სამშენებლო პროექტების სპექტრის გაფართოებას და სამომავლოდ სხვადასხვა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების მქონე მომხმარებელზე მორგებული საცხოვრებელი კომპლექსების შეთავაზებას.

გაითვალისწინეთ, რომ ობლიგაციების მფლობელ მომხმარებლებს მიეცემათ უნიკალური შესაძლებლობა, ისარგებლონ ფასდაკლებით სს „$m^2$“-ის მიერ მართულ პროექტებში.

**ირაკლი ბურდილაძე, დეველოპერული კომპანიის $m^2$-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– კომპანია „$m^2$“ მომხმარებელს კიდევ ერთ ინოვაციურ პროდუქტს სთავაზობს, რომელიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს როგორც ჩვენი კომპანიის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას, ასევე, ქვეყანაში ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გაჩენას. ეს კი უძრავი ქონების დეველოპმენტის, როგორც დარგის, განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

მივიღეთ გადაწყვეტილება, გამოგვეშვა დოლარში დენომინირებული 1-წლიანი ობლიგაცია, საკმაოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთში – 9,5% დაბეგვრამდე. დაბეგვრის შემდეგ კი, საქართველოს რეზიდენტები მიიღებენ 9%-ს სუფთა მოგებას, დოლარში დენომინირებულ ობლიგაციაში. ეს გახლავთ საქართველოში პირველი შემთხვევა, როდესაც არასაფინანსო სექტორის კერძო კომპანიამ გამოუშვა ობლიგაციები.

**— ბატონო ირაკლი, რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას ამ მიმართულებით, რას ეტყვით მომხმარებელს, რომელიც საკითხში არცთუ მაღალ დონეზეა გათვითცნობიერებული?**

– მინდა გითხრათ, რომ დასავლურ ბაზრებზე კორპორაციული ობლიგაციები ფართოდ გავრცელებული ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც კერძო კომპანიები ახდენენ დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვას და შემდეგ ამ თანხებს იყენებენ როგორც ზრდისთვის, ისე ახალი პროექტების განვითარებისთვის. ჩვენც გვსურს, რომ კომპანიისთვის ხელმისაწვდომი იყოს დაფინანსების სხვა წყაროები.

ზოგადად, „$m^2$“-ის არსებული პროექტები დაფინანსებულია როგორც კომპანიის საკუთარი კაპიტალით, ასევე მოზიდული თანხებით. ჩვენ ვმუშაობთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის ჰოლანდიის განვითარების ბანკთან, რომელმაც იპოდრომის პროექტი 20 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო რესურსით დააფინანსა და ეს თანხა კომპანიამ წინსწრებით სრულად გაისტუმრა. მას შემდეგ ჩვენ მოვიპოვეთ კიდევ ერთი დაფინანსება. ამჯერად კი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი გახლავთ, კანადის მთავრობასთან ერთად კომპანია „$m^2$“-ს 14 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო რესურსი გამოუყო, რომელიც სამი ენერგოეფექტური მრავალბინიანი სახლის მშენებლობისთვისაა განკუთვნილი. ამ სამი პროექტიდან კომპანიამ ორის მშენებლობა უკვე დაიწყო და საკმაოდ წარმატებითაც. მაგალითად, ყაზბეგის გამზირზე მდებარე სამშენებლო კომპლექსში მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე კომპანია „$m^2$“-მა უკვე გაყიდა ბინების 63 პროცენტი. მეორე პროექტი, რომელიც დავიწყეთ ნუცუბიძის ქუჩაზე, ასევე წარმატებულია – 77 ბინა უკვე გაყიდულია. ამ ფინანსური რესურსით ზაფხულში კიდევ ერთი პროექტის მშენებლობას დავიწყებთ – თამარაშვილის ქუჩაზე.

**— საინტერესოა, თუ აქვს კიდევ რაიმე სიახლე კომპანიას მომხმარებლებისთვის?**

– კომპანია „$m^2$“ ამ ეტაპზე კიდევ ერთ ინოვაციურ პროდუქტზე მუშაობს, რომელსაც ჩვენს მომხმარებელს სულ მალე შევთავაზებთ. ეს გახლავთ, თბილისის რამდენიმე უბანში გარემონტებული 2-ოთახიანი ბინები, აღჭურვილი სამზარეულოს ავეჯითა და სამზარეულო ტექნიკით, საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასად – სულ რაღაც 29 ათას დოლარად. ეს არის ერთ-ერთი პროდუქტი მათ შორის, რომელსაც ობლიგაციებიდან მიღებული თანხით განვახორციელებთ.

**მიხეილ სახვაძე**

*მეხუთე გვერდიდან*

ლარი, ხოლო თუ წლის განმავლობაში მესამედ და მეტჯერ „დაგიჭერენ" ჩამუქებულ მინებზე, განისაზღვრა მართვის უფლების 6 თვით შეჩერება.

**რედ: აქ უკვე, „საოცნებო" ხელისუფლებამ „ნაცებსაც" გადააჭარბა და ჯარიმა არა მხოლოდ გააორმაგა, არამედ „პრავის" ჩამორთმევაც დააკანონა და ისევ შევარდნაძისდროინდელი კანონი დაგვიტოვა საოცნებოდ. სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებასაც კი არ მოსვლია თავში მსგავსი აკრძალვა, რადგან სამხრეთული ქვეყნებისთვის ჩამუქებული მინა ზაფხულის მზეში გარკვეულწილად შვებაა ხოლმე. არადა „ქართული ოცნებაც" „ნაცების" ხერხემლის, ვანო მერაბიშვილის მიერ დადგენილი პროცენტებით გვსჯის და გვაჯარიმებს.**

თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად თბილისში მაინც უამრავი ავტომობილი მოძრაობს უკიდურესად დაბურული მინებით. დაუკვირდით, ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა – როდესაც პოლიციელი დაბურული მინების თაობაზე გაგაჩერებთ, მას არ აქვს უფლება, დარღვევის დაფიქსირებისთანავე დაგაჯარიმოთ, ის გაძლევთ გაფრთხილებას, რათა 3 დღის განმავლობაში მოაგვაროთ პრობლემა. სხვათა შორის, მთლად მსგავსი არა, მაგრამ „გაფრთხილების" წესი მოქმედებს სხვა სახის დარღვევებზეც (ამას მძღოლები ყურადღებას არ აქცევენ), მაგალითად, თუ მანქანას გააჩერებთ იქ, სადაც გაჩერების ამკრძალავი ნიშანია, პოლიციელს აქვს უფლება, მაშინვე არ დაგაჯარიმოთ და გამოგიწეროთ „გამაფრთხილებელი" ქვითარი. მონაცემთა ბაზაში კი შედის დარღვევა, მაგრამ თქვენ არ იხდით არაფერს. აი, მეორე დარღვევაზე კი მამა ღმერთიც ველარ გიშველით და 10 ლარს დაემშვიდობებით. დაიმახსოვრეთ, „გამაფრთხილებელი" ქვითრის გამოწერა დამოკიდებულია თქვენს მარიფათზე და ძირითადად იმაზე, როგორ ხასიათზეა პოლიციელი. როგორც კი დარღვევას დაგიფიქსირებენ, ხელები ასწიეთ, დანაშაული აღიარეთ და დაიწყეთ მტკიცება, რომ მსგავს რამეს აღარასოდეს ჩაიდენთ. არ დაიბნეთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ პოლიციელებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მე პირადად მქონდა ასეთი შემთხვევა და მშვენივრად გაჭრა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე შეიმუშავა ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობის გამო ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენის შემდეგი ფორმულა: თუ ჯარიმის ოდენობა არ აღემატება 100 ლარს და სამართალდამრღვევი გადაიხდის დაკისრებული ჯარიმისა და საურავის ორმაგ ოდენობას, სამართალდამრღვევს აღუდგება ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისთვის ჩამორთმეული მართვის უფლება, ხოლო თუ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა აღემატება 100 ლარს - მართვის უფლების აღდგენა შესაძლებელი იქნება დაკისრებული ჯარიმისა და საურავის ერთ-ნახევარი ოდენობის გადახდის (მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარის) შემთხვევაში.



„როდესაც პოლიციელი დაბურული მინების თაობაზე გაგაჩერებთ, მას არ აქვს უფლება, დარღვევის დაფიქსირებისთანავე დაგაჯარიმოთ, ის გაძლევთ გაფრთხილებას, რათა 3 დღის განმავლობაში მოაგვაროთ პრობლემა"

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის გამო შეჩერებული მართვის უფლების დასაბრუნებლად მოქალაქემ უნდა გადაიხადოს საურავი და დამატებით 500-ლარიანი ჯარიმა, თუ მართვის უფლება შეჩერებულია 6 თვის ვადით, ხოლო თუ შეჩერებულია 1 წლის ვადით - საურავთან ერთად 1000-ლარიანი ჯარიმა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯარიმის გადახდა ხდება სწრაფი გადახდის ტერმინალების მეშვეობით. მოქალაქეები ხშირად ვერ ამჩნევენ ტერმინალების მომსახურებისთვის დაწესებული საკომისიოს არსებობას და სახელმწიფო ბიუჯეტში ხორციელდება დაკისრებული ჯარიმის ოდენობის არასრულად ჩარიცხვა. აღნიშნულის საფუძველზე, ჯარიმა არ ითვლება გადახდილად, შესაბამისად, მათ ეკისრებათ საურავი და დადგენილი ვადით უჩერდებათ მართვის უფლება. როდესაც მოქალაქისთვის ეს ხდება ცნობილი, ის მიმართავს საპატრულო პოლიციას საურავისა და მართვის უფლების შეჩერების გაუქმების მოთხოვნით, მაგრამ ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ყურადღებით იყავით, როდესაც ჯარიმებს იხდით ტერმინალის საშუალებით, თუ დაჯარიმებული ხართ 100 ლარით, უნდა გადაიხადოთ 103 ლარი, 3 ლარი ტერმინალს მიაქვს საკომისიო მომსახურების საბაბით. თუ მაინც შეცდით, თქვენ მოგეცემათ შესაძლებლობა, გადაიხადოთ საბანკო დაწესებულებისა თუ ელექტრონული გადახდის საშუალებით მომსახურებისთვის დადგენილი საფასური (1-დან 3 ლარამდე) და აღნიშნულის შესახებ მიმართოთ საპატრულო პოლიციას დარიცხული საურავის გაუქმებისა და მართვის უფლების აღდგენის შესახებ.

დაბოლოს... იმ პრობლემის შესახებ, რასაც დასაწყისში დაგპირდით: ერთი წლის წინათ ჩვენ საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობამ გაგვაფრთხილა, რომ, თუ მართვის მოწმობა სახლში დაგვრჩებოდა, არავითარ შემთხვევაში არ შეგვექმნებოდა პრობლემა – პოლიციელი მონაცემთა ბაზაში მოძებნიდა ინფორმაციას და მშვიდობიან მგზავრობას გვისურვებდა. ესე იგი, ეს იმას ნიშნავდა, რომ მართვის მოწმობის ჯიბით ტარება სავალდებულო არ იქნებოდა. დღეს, იშვიათად, მაგრამ მძღოლები მაინც ლაპარაკობენ, რომ საპატრულო პოლიცია დაჟინებით ითხოვს მართვის მოწმობას. არ არის გამორიცხული, თავად ზოგიერთმა პოლიციელმაც არ იცოდეს ამის შესახებ. ამიტომ, კარგად დაიმახსოვრეთ: დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, თქვენ არ ხართ ვალდებული, ჯიბით ატაროთ მართვის მოწმობა. პოლიციელი, რომელიც გაგაჩერებთ, ვალდებულია, შევიდეს მონაცემთა ბაზაში და მიიღოს საჭირო ინფორმაცია. თუმცა ეს არ ეხება იმ მძღოლებს, რომლებსაც აქვთ უცხოური მართვის მოწმობები (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ევროპული ქვეყნების და ასე შემდეგ), რადგან მათი მონაცემები ქართულ საინფორმაციო ბაზაში არ იძებნება. დღეს, რატომღაც, ჩვენს მძღოლებს ჰგონიათ, რომ მათ არავითარი უფლებები არ გააჩნიათ და როდესაც გააჩერებენ, ყურმოჭრილი მონებივით დგანან პოლიციის წინაშე. ასე არ არის, წაიკითხეთ კანონი, იქ ბევრ ისეთ რამეს აღმოაჩენთ, რაც აუცილებლად გამოგადგებათ. თუ კანონის წაკითხვას (სწავლას) ვერ ახერხებთ ან წაკითხულის გააზრება გიჭირთ, მაშინ თან იქონიეთ „ალიას" ეს ნომერი.



**„კარგად დაიმახსოვრეთ: დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, თქვენ არ ხართ ვალდებული, ჯიბით ატაროთ მართვის მოწმობა. პოლიციელი, რომელიც გაგაჩერებთ, ვალდებულია, შევიდეს მონაცემთა ბაზაში და მიიღოს საჭირო ინფორმაცია. თუმცა ეს არ ეხება იმ მძღოლებს, რომლებსაც აქვთ უცხოური მართვის მოწმობები (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ევროპული ქვეყნების და ასე შემდეგ), რადგან მათი მონაცემები ქართულ საინფორმაციო ბაზაში არ იძებნება.**

» **გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## პრემიერმა ძიუდოში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მიულოცა



ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქართველი ძიუდოისტების გამარჯვება და მიღწევები უკვე საამაყო ტრადიციად იქცა.

„საფრანგეთში, მონპელიეში საქართველოს დროშა აფრიალდა! ძიუდოს ევროპის ჩემპიონატში ჩვენმა საამაყო ძიუდოისტებმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვეს – საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ვულოცავ ჩვენს სპორტსმენებს ამ ბრწყინვალე გამარჯვებას! ვულოცავ ინდივიდუალურ შეჯიბრში გამარჯვებას თითოეულ სპორტსმენს – ოქროს მედალოსნებს ვალერი ლიპარტელიანსა და ავთანდილ ჭრიკიშვილს, ვერცხლის მედალოსნებს ამირან პაპინაშვილსა და ადამ ოქრუაშვილს. გამარჯვებას ვულოცავ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ირაკლი უზნაძეს და მადლობას ვუხდი ასეთი გუნდის მომზადებისთვის", – ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

პრემიერი მოხარულია, რომ მთავრობის განსაკუთრებული თანადგომა და ხელშეწყობა აისახა ჩვენი ძიუდოისტების წარმატებებზე. მან იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტები კიდევ ბევრ გამარჯვებას მოიპოვებენ და გაახარებენ ქართველ გულშემატკივარს. (ინტერპრესნიუსი)

## რას ითხოვს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება დაკავებული ქართველების სანაცვლოდ?



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის ინფორმაციით, ცხინვალის ციხეში მყოფი 5 ქართველის სანაცვლოდ, დე ფაქტო ხელისუფლება გორის ტერაქტში მხილებული პირების განთავისუფლებას ითხოვს.

„ცხინვალის ციხეში, ე.წ. საზღვრის დამრღვევების გარდა, კიდევ ხუთი ქართველი იმყოფება. რამდენიმე დღის წინ ორმა მათგანმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში დარეკა, რამაც ოსური მხარე გაანაწყენა – მათ რატომღაც მიიჩნიეს, რომ ეს ჩემი ინიციატივით მოხდა, არადა, არაფერი ვიცოდი. ეს ბატონები არიან მიდელაშვილი და ხუროშვილი. დანარჩენების გვარებს ვერ გეტყვით, რადგან მათი ოჯახის წევრების ნებართვა არ მაქვს. ოსური მხარე მიდელაშვილის განთავისუფლების სანაცვლოდ ითხოვს საქართველოს ციხეში მყოფი ოსი პატიმრების განთავისუფლებას, რაც ადვილი არ არის – ისინი გორის ტერაქტში არიან მხილებული და უვადო პატიმრობა აქვთ მისჯილი. ჩვენ მოვახერხეთ ცხინვალის ციხიდან პატიმარ ჯერაპოვის გამოყვანა. მას ყველაზე გრძელვადიანი სასჯელი – 13 წელი ჰქონდა მისჯილი, თუმცა ქართული მედია ამ ფაქტს არ გამოხმაურებია", – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

ამასთანავე, მინისტრის განმარტებით, ამ ხუთ პატიმარზე მათ ოსურ მხარესთან გამუდმებით აქვთ მოლაპარაკება და აღნიშნულის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებმაც იციან. (ინტერპრესნიუსი)

## „პატრიარქს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კანონის მიღება საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა"




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს პარლამენტისადმი მიმართვას საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ეხმაურებიან.

„მეჩვენება, რომ კანონი რა სახითაც არის, მისაღებია. წერილი პირადად არ მინახავს, მაგრამ გეტყვით, რომ საქართველოს ჰყავს პარლამენტის წევრები, რომლებმაც იციან კითხვა. წავიკითხავთ და გავცემთ პასუხს.

კანონის მიღებაზე ეს ვერ მოახდენს გავლენას. პატრიარქს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კანონის მიღება საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა. თუ მისაღებია კანონი, მივიღებთ. პირველი მოსმენით უკვე მიღებული გვაქვს, რაც იმას ნიშნავს რომ ძირითადი პრინციპები უკვე გვაქვს", – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ სერგო რატიანს უკვირს, რომ დისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგი ეკლესიაა.

„პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ გამეორდეს ისეთი სამარცხვინო ფაქტები, როგორიცაა ქჰლას მინარეთის დემონტაჟი. ჩემთვის უცნაურია როდესაც ინსტიტუცია, ეკლესია, რომელიც მეოცე საუკუნის განმავლობაში განიცდიდა დისკრიმინაციასა და დევნას, შეიძლება იყოს წინააღმდეგი დისკრიმინაციული კანონის", – განაცხადა სერგო რატიანმა. (რეპორტიორი)

## დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით მსხვილი პროექტები განხორციელდება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მზად აქვს მსგავსი პროექტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში.

„ჩვენ გვინდა დევნილ მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რისთვისაც სამინისტრო ეტაპობრივად გაასაჯაროებს ყველა პროექტს და მაქსიმუმს გააკეთებს მათი უმოკლეს ვადებში განხორციელებისთვის", – აცხადებენ უწყებაში.

მიმდინარე წელს დაიწყება ქ. თბილისში, კრწანისის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. პროექტი დამთავრდება 2016 წლის სექტემბერში და 2 088 დევნილი ოჯახი მიიღებს ახალ, თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ, კომფორტულ ბინას. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# მამა ელიზბარ დიაკონიძე: „ამის წინააღმდეგ ვიკრიბებით ოთხშაბათს 12 საათზე, რუსთაველზე პარლამენტის წინ“

## „არიქა, სასწრაფოდ, ხვალვე უნდათ, მიიღონ! რამდენი კაციც ჰყავს „ოცნებას“ პარლამენტში, დავიჯერო, რომ მანდ კაცი აღარ დარჩა?“

**„მე მამა ელიზბარ დიაკონიძე ვარ, რომელიც ყოველთვის გავაკრიტიკებ იმ ტვინგაყინულ გვამთა ერთობას, ვისაც ჰქვია „ოცნება“ და „ნაცები“ ერთად, მეტს თქვენ არ იმსახურებთ, იმიტომ რომ ჩემი ქვეყნის დაცემა გინდათ“**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის განცხადებით, „ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ამ კანონპროექტში კონსტიტუციაში არარსებული ცნებების „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ შემოტანა ხალხში დიდ ვნებათაღელვას იწვევს, რადგან ჩვენი მოქალაქეების პიროვნული უფლებები ისედაც თანაბრად დაცულია საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობით. ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მიმართავს საქართველოს პარლამენტს, გადადოს კანონპროექტის მოცემული სახით მიღება, უზრუნველყოს ეკლესიისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა მის განხილვაში, რათა მიიღწეს შეთანხმება და ნაჩქარევმა ქმედებამ უარყოფითად არ იმოქმედოს ევროპისკენ ქვეყნის სწრაფვაზე.

**საზოგადოების ერთი ნაწილი 30 აპრილს პარლამენტის წინ ამ კანონის გაპროტესტებას აპირებს. მათ შორის იქნება ყოვლადწმინდა სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარ დიაკონიძე:**

– (უაღრესად ანერვიულებული) მისი უწმინდესობის შეშფოთება გასაგებია და სწორია და ვეთანხმებით მთელი საზოგადოება, რადგანაც ესაა ჩვენი ქვეყნის წარსულზეც და მომავალზეც უარის თქმა. ჯონდი ბაღათურიასი არ იყოს, წინა პარლამენტში ორი კაცი მაინც ვიყავით, ვინც უარს ვამბობდით მიღებულ დადგენილებებზეო და დღეს იმ 109 პარლამენტარიდან როგორ ერთი არ გამოდგა, რომელიც თავს შეიკავებდა ხმის მიცემაზე? მე მსგავსი რამ ჯერ არ მინახავს. ყველას თურმე უნდა ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, და რაა ამის ქვეშ შეფარული? ვინ არის დისკრიმინირებული? სინამდვილეში დისკრიმინირებული გამოვდივარ მე, მართლმადიდებელი, ჩემი წინაპრის საფლავიდან მოყოლებული, შვილებით და შვილიშვილების ჩათვლით, იმიტომ რომ ორი პიდარასტი უნდა დადიოდეს და ტელევიზორით გამოდიოდეს! და ჩვენი პარლამენტარები ხომ არ მეტყვიან, სექსუალურ უმცირესობებში ვინ შედის, მხოლოდ ლესბოსელი და მამათმამავალი? და პედოფილი? ზოოფილი? ნეკროფილი? გერენტოფილი? მერე ამაში ყველა ეს „ფილი“ რომ შედის, და მე პედოფილიას კონსტიტუციით რომ ვებრძვი, რასაც ყველა ქვეყნის კანონმდებლობა სჯის, შენ რატომ უშვებ ასეთს სკოლაში და პატარა ბავშვთან? რამ შეაყვარათ ამათ პიდარასტები, გამარკვიეთ, ხალხო? და არ უნდა გამოვიდეს ამის წინააღმდეგ ხალხი ქუჩაში? კვირას „ოცნების“ ყრილობაზე ვიყავი და ამდენი თვითკმაყოფილი და არაკაცობით კმაყოფილი ხალხი დიდი ხანია, არ მინახავს! ჩემს წინ იჯდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, მე და ავთო იოსელიანი ვისხედით ერთად მის უკან და ამ წინ მჯდომს დებილები რატომ ვეგონეთ, ბოლომდე ვერ გავარკვიე! და მან რაც გააკეთა, წესით, იქ უნდა გამელახა და ეგ იქნებოდა კარგი. ერთი მამაპაპური ალიყური უნდა ამეკრა იმისთვის, დებილი რომ ვგონივარ. რა გააკეთა და ამოიღო ტელეფონი და ჩვენ გვიღებდა ფოტოებს, რომ მერე სადღაც წაელო.

**— და სად უნდა წაელო?**

– მამაჩემის მამასთან! იქვე ვთქვი ხმამაღლა: ამას, ეტყობა, გაზეთები არ აქვს წაკითხული და არ იცის, ვინ არის მამა ელიზბარი, თორემ ამ სურათებს არ გადამიღებდა-მეთქი. ახლა უკვე გაზეთით ვეტყვი: მე მამა ელიზბარ დიაკონიძე ვარ, რომელიც ყოველთვის გავაკრიტიკებ იმ ტვინგაყინულ გვამთა ერთობას, ვისაც ჰქვია „ოცნება“ და „ნაცები“ ერთად, მეტს თქვენ არ იმსახურებთ, იმიტომ რომ ჩემი ქვეყნის დაცემა გინდათ. ორი დღის წინ დავასაფლავეთ შესანიშნავი ქართველი კაცი პეტრე ხვედელიძე, რომელიც ამერიკაში გარდაიცვალა 92 წლის ასაკში. შესაშური ქველმოქმედი, რომელიც თავად სიღარიბეში ცხოვრობდა, მაგრამ სულ ეხმარებოდა ქართველებს და საქართველოს, აი, იმ კაცის ამ წუთში გაციებული გვამი ღირს მთელ პარლამენტად! ვისაც უნდა, იმას ეწყინოს ეს სიტყვები. ეკლესია ხომ უყვართ, კაცო? გნებავთ ეკა ბესელიას, სხვა დანარჩენებს,



**„სააღდგომო ეპისტოლედან „კაკრას“ მამათმავლებზე რომ ამოუღეთ ფრაზა... ახლა პატრიარქს მივმართავ დიდი მოკრძალებით და სიყვარულით: თქვენო უწმინდესობავ, აი, იქ რომ ამოიღეს და არავინ დასჯილა, იმის შედეგია, ეს გარყვნილი საზოგადოება რომ შეიყარა პარლამენტში და შემდგომ ბავშვებს რომ გვირყვნიან!“**

ხომ მიდიან აღდგომა დღეს ტაძარში, სანთელი უჭირავთ ხელში და რიტუალები რომ არის, გარბიან და (ენამოჩლექით), უწმინდესი ისეთი კარგიააა! მერე რა მოგწონთ მის უწმინდესობაში? იმას რომ არ მოსწონს ეს უწმინდური აზრები? ხარკს უხდით? ძაან ახარებს პატრიარქს ეს ხარკი! არაფერს სასიკეთოს არ აკეთებთ და რატომ დადიხართ ეკლესიაში? რასაც ამბობს კათალიკოსი ყველა ქადაგებასა და ეპისტოლეში, გაგახსენოთ, სააღდგომო ეპისტოლედან „კაკრას“ მამათმავლებზე რომ ამოუღეთ ფრაზა? ახლა პატრიარქს მივმართავ დიდი მოკრძალებით და სიყვარულით: თქვენო უწმინდესობავ, აი, იქ რომ ამოიღეს და არავინ დასჯილა, იმის შედეგია, ეს გარყვნილი საზოგადოება რომ შეიყარა პარლამენტში და შემდგომ ბავშვებს რომ გვირყვნიან!

**— ვინ აპირებთ ამის გაპროტესტებას?**

– არის ასეთი პოლიტიკური გაერთიანება

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიორგი ტუღუში გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს



ჟენევაში გამართულ სხდომაზე, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საკუთარი ხელმძღვანელი ორგანო, ბიურო აირჩია. კომიტეტს დღეიდან ახალი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს. ამ თანამდებობაზე კომიტეტმა საქართველოს სახელით არჩეული წევრი, ყოფილი სახალხო დამცველი და ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრი, გიორგი ტუღუში აირჩია.

გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი 10 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შედგება და მეთვალყურეობს გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის იმპლემენტაციას წევრ სახელმწიფოებში. (რეპორტიორი)

## სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის გამოყოფილი თანხა საჭირო ოდენობას რამდენჯერმე აღემატება



არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ ინფორმაციით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის გამოყოფილი 9 მლნ ლარის ხარჯვის ზუსტ მიზნობრიობას ვერ ასახელებს, რაც „კორუფციული გარიგების საფრთხეს შეიცავს“.

„ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 550 680 სკოლის მოსწავლე ირიცხება. უშუალოდ პირველკლასელთა რაოდენობა, როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლებში, 46 190 შეადგენს, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 8-9%-ია. აქედან გამომდინარე, რეალურად, სამინისტროს 2014 წელს 2013 წელს გაწეული ხარჯის (16 მლნ ლარი) 8-9% გაწევა უნდა მოუწიოს, რაც 1,4-1,5 მლნ-ს არ აღემატება. აღნიშნულ თანხას ემატება სახელმძღვანელოების ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯები. გაუგებარია, რა მიზნით არის გამოყოფილი 9 მლნ ლარი, მაშინ როცა ბეჭდვისა და ტრანსპორტირების საერთო ღირებულება 2 მლნ ლარს არ აღემატება. დარჩენილი 7 მლნ ლარის მიზნობრიობა აბსოლუტურად ბუნდოვანია, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ სამინისტრო წინა წელს დაბეჭდილი, დაზიანებული წიგნების ჩანაცვლებასაც გეგმავს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქმე გვაქვს ან მავანთა არაკომპეტენტურობასთან, ან კორუფციულ გარიგებასთან. მივმართავთ განათლების მინისტრს, გააკეთოს განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ განისაზღვროს გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა“, – ნათქვამია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით ნარმანია: „მეორე ტური არ იქნება“



როგორც „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა, დავით ნარმანიამ არჩევნების მეორე ტური გამორიცხა. ნარმანიას თქმით, მისი წინასაარჩევნო პროგრამით თბილისში არსებული ყველა პრობლემა ოთხი წლის განმავლობაში უნდა მოგვარდეს.

საარჩევნო პროგრამაში საუბარია როგორც ადამიანებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნაზე, ასევე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოებზე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით და ა.შ.

დავით ნარმანიამ პროგრამის პირველი პრეზენტაცია გამართა და მოსახლეობას თემატურად ყველა მიმართულება გააცნო. (რეპორტიორი)

## პოლიციის სამმართველოში წვევამდელი გარდაიცვალა




ზუგდიდის პოლიციის მეორე სამმართველოში ჯარისკაცი გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა.

გარდაცვლილი სამეგრელოს მკვიდრია და რაიონულ სამმართველოში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

ჯარისკაცი ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი ქუთაისის პროზექტურაში გადაასვენეს, სადაც ექსპერტიზა ჩაუტარდა. მომხდართან დაკავშირებით, შს სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. (თაიმერი)

*მეშვიდე გვერდიდან*

„უფლის სახელით, უფალია ჩემი სიმართლე“, სადაც მარტო ორნი ვართ სასულიერო პირები, დანარჩენები საერო ხალხია. შემოვიარეთ ყველა ტელევიზია ამ დღეებში და გაგიგონია? ყველამ უარი გვითხრა ამ აქციის დაანონსებაზე, სუყველამ!!! ანუ, გაფრთხილებულია აბსოლუტურად ყველა ტელევიზია, რომ არ შეეხონ ამ თემას!

**— და საიდან მოდის ეს გაფრთხილება?**

– საიდან და მთავრობიდან! რად გვინდა მისვლა იმ ოჯახში, სადაც პიდარასტები არიან წახალისებულები, გეკითხებით? არ იქნება, რომ ამ მთავრობამ თავის სახლში წაიყვანოს ესენი? და ევროპა თუ არ მიმიღებს მაგ პიდარასტების არსიყვარულის გამო, არც მჭირდება! რა თავში ვიხლი? მსოფლიო პატრიარქის სიტყვები მაგონდება, სააკაშვილს რომ ამბიონზე პირში უთხრა, ტელევიზიების გასაგონად: სხვაგან ვეძებთ მეგობრებს, როცა ამხელა სიწმინდე გვყავს კათალიკოსის სახითო. თურაშაულის პატრონი რომ გარეთ პანტას ეძებდა, ესაა.

**— მერე, ვინ გაიგონა ეს სიტყვები?**

– ეე, მანდ ვარ მეც! სააკაშვილს რაზე ლანძღავთ? თუმცა, მე და შენ დავრჩით, ვინც ვლანძღავთ, დანარჩენები (ხმას უწევს) ერთ ჭკუაზე არიან სუყველა და ერთად გადასარევად გრძნობენ თავს! შესანიშნავად არიან მორგებულები ამ ყველაფერ სიბინძურეს და მილიარდებს ქაფავენ. არ მინდა ამ ევროსაბჭოში, ადამიანო! სჯულის კანონი კრძალავს მასეთ ხალხთან ყველანაირ ურთიერთობას! ავადმყოფის მოვლას აკანონებს სჯულის კანონი, მაგრამ სექსუალურად გაუკუღმართებას ავადმყოფობად არ იღებს! და ასეთი პირის ზიარებას კრძალავს, თან სიკვდილამდე! ასეთი ერთხელაც რომ შეცდა და მერე მოინანია ეს



**„მადლობლები უნდა იყვნენ ეს გვამები, დიახ, ბიძინა ივანიშვილის, რომ ადამიანებში გარია და ქვეყნის სათავეში მოათრია, თუ სადმე ბალასტი იყო, მაგრამ მე რატომ უნდა ვიყო მადლიერი, სამება რომ ამიშენა? სამაგიეროდ, სულს რატომ მინგრევს? მამათმავალი შეიძლება, შევიდეს ტაძარში? და ვილას აუშენა ეს სამება? მოკლედ, არ ვიცი, არ ვიცი, ყველას გელოდებით აქციაზე, არ მომკლეს, კაცო?“**



**„იმ 109 პარლამენტარიდან როგორ ერთი არ გამოდგა, რომელიც თავს შეიკავებდა ხმის მიცემაზე? მე მსგავსი რამ ჯერ არ მინახავს. თურმე ყველას უნდა ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, და რაა ამის ქვეშ შეფარული? ვინ არის დისკრიმინირებული?“**

ცოდვა, მაინც უზიარებლად ისჯება მთელი ცხოვრების მანძილზე და შეიძლება, სიკვდილის წინ მოძღვარმა აზიაროს, ისიც თუ ცოდვილმა მთელი ცხოვრება სტოაში გაატარა, გარეთ! შიგნით შესვლა სექსუალურად გაუკუღმართებულს ეკრძალება! ამის წინააღმდეგ ვიკრიბებით ოთხშაბათს 12 საათზე, რუსთაველზე პარლამენტის წინ, მანამდე გავაგზავნეთ წერილი პარლამენტში, რომ ჩასწორდეს ეს მუხლი და არ მოხდეს ამის დაკანონება. ვნახოთ, რომელი კანონი განიხილავს, განხილვა კი სამშაბათს არის! ოთხშაბათს კომიტეტი განიხილავს მეორე მოსმენით და მერე უკვე პარლამენტი მიიღებს დაჩქარებული წესით! და რატომ იცით? 15 მაისს პარლამენტი წყვეტს მუშაობას არჩევნებთან დაკავშირებით. და არიქა, სასწრაფოდ, ხვალვე უნდათ, მიიღონ! რამდენი კაციც ჰყავს „ოცნებას“ პარლამენტში, დავიჯერო, რომ მანდ კაცი აღარ დარჩა? დავანებოთ ეროვნულ მუხტებს, მაგრამ კაცი ხომ უნდა იყო, კაცო? რად გინდა ამ ორიენტაციის ხალხს რომ იკანონებ? ვის ასიამოვნებ ამით? ეშმაკს? მაგრამ ეგ ეშმაკი, რომელსაც გუნდრუკს უკმევთ, არ იცი, რომ ჩაგძირავთ? მაგას ვერ ხვდებით?

**— ნუთუ გაითვალისწინებენ უწმინდესის ნათქვამს?**

– (ყვირის) არ გაითვალისწინებენ! რომელი ერთი გაითვალისწინებს? რა გაითვალისწინეს? რელიგიის წინააღმდეგ კანონი გაითვალისწინეს? იმის შემდეგ რომ იხვეწებოდა, შეცვალეთო, შეცვალეს? რომელი ერთი? ეკლესიის მოქმედებებს სახელმწიფო რომ უარყოფს, ეკლესია მერე იმაზე დუმს და გასაგებია ამათთვის, რომ ეკლესია უსუსურია და რამდენიც უნდა, იყბედოსო! თუ ეს ასე არ არის, ხომ წაიკითხავენ ამ გაზეთს? ვნახავ, ოთხშაბათს რამდენი კაცი მოვა აქციაზე და რა, არ უნდა გამოვიდეს ქუდზე კაცი? მასა არ უნდა დადგეს იქ ხალხის? რომ ამათ ველარც გაბედონ ვერაფრის მიღება! გავგიჟდი, აღარ ვარ კაცი! წელან ყრილობა ვახსენე და მართლა მადლობლები უნდა იყვნენ ეს გვამები, დიახ, ბიძინა ივანიშვილის, რომ ადამიანებში გარია და ქვეყნის სათავეში მოათრია, თუ სადმე ბალასტი იყო, მაგრამ მე რატომ უნდა ვიყო მადლიერი, სამება რომ ამიშენა? სამაგიეროდ, სულს რატომ მინგრევს? მამათმავალი შეიძლება, შევიდეს ტაძარში? და ვილას აუშენა ეს სამება? მოკლედ, არ ვიცი, არ ვიცი, ყველას გელოდებით აქციაზე, არ მომკლეს, კაცო?

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რატომ გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა თემურ შაშიაშვილმა?



პარტია „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი არც ერთ ბლოკში არ შედის, კენჭს ცალკე იყრის და ურჩევნია საკუთარი შესაძლებლობებით გაიმარჯვოს.

„ქუთაისში უამრავ ადამიანს შევხვდი და მათთან საუბარმა გადამაწყვეტინა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ბევრი ადამიანი მიჭერს მხარს. მე არჩევნებს იმედიანად ვუყურებ. მჯერა გავიმარჯვებ. დედამიწის ზურგზე, ქუთაისის გარდა, არსად მაქვს სახლი და ეს ქალაქი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია“, – აცხადებს პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი.

მისი თქმით, ქალაქს ისეთი კაცი უნდა ჩაუდგეს სათავეში, ვისაც საქმის კეთება შეუძლია.

„თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ საქმის კეთება ვიცი და ქუთაისისთვის ბევრი რამე მაქვს გაკეთებული. კარგად მახსოვს, ქუთაისი სასმელ წყლად გარეცხილ რიონს ხმარობდა. ჩემი აზრით, ეს იყო ქუთაისის შეურაცხყოფა. ამიტომ ყველაფერი გავაკეთე, რომ ქალაქს საუკეთესო სასმელი წყალი ჰქონოდა. ქუთაისი ეხლა ფარცხანაყანების წყალს მოიხმარს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩემს დროს ამხელა დაფინანსება რომ ყოფილიყო, ქალაქში წყლის გრაფიკის პრობლემასაც მოვხსნიდი. ქუთაისს ნამდვილად არ ეკადრება იმ პირობებში ცხოვრება, რომელშიც ეხლა ცხოვრობს“, – აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერი დარწმუნებულია, რომ ქუთაისში მერის არჩევნებს მოიგებს, რაც, მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გამარჯვებაც იქნება.

„დიდი იმედი მაქვს, რომ არჩევნებს არ გააყალბებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხისგან სერიოზულ პასუხს მიიღებენ. არჩევნები თუ გაყალბდა, მღელვარება გარდაუვალია. მოსახლეობა აღარ დაუშვებს, რომ მთავარი ოპოზიციური პარტია ის იყოს, ვინც საკუთარ ხალხს გენოციდი მოუწყო. სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დამნაშავე რეჟიმს სათანადო შეფასება არ მისცა“, – აცხადებს „თეთრების“ ლიდერი. (რეპორტიორი)

## „ხრუშჩოვკების“ პროექტი არ არსებობს



საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელების“ თავმჯდომარის, გულიკო ზუმბაძის განაცხადებით, „ხრუშოვკების პროექტი“ არ არსებობს.

„ეს პროექტი არ არსებობს. შესაძლებელია, ირაკლი შიხიაშვილსა და მის მეგობრებს საკრებულოდან ჰქონდათ კეთილი სურვილი, რომ ასეთი პროექტი დაწყებულიყო, მაგრამ დღეს ის ნამდვილად არ არსებობს. დარჩა ვადაგასული მემორანდუმი „არაბ ინვესტორთან“, რომელიც, საბედნიეროდ, დედაქალაქის მომავალ საკრებულოს და ადგილობრივ ხელისუფლებას არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს. ვფიქრობ, საკრებულოს თავმჯდომარე, ნებით თუ უნებლიე“, საეჭვო გარიგებაში ჩართული აღმოჩნდა, რომელიც, საბედნიეროდ, კარგად დასრულდა, იმიტომ, რომ ამან გაგრძელება ვერ ჰპოვა“, – განაცხადა გულიკო ზუმბაძემ.

მისი თქმით, აღნიშნული არაბული კომპანიის შესახებ ინფორმაცია ძალიან ბუნდოვანი იყო და ეს „ძალიან ჰგავდა თაღლითურ სქემას“.

გულიკო ზუმბაძის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარემ ერთპიროვნულად, მასთან დაახლოებულ ორ-სამ დეპუტატთან შეთანხმებით მიიღო. (რეპორტიორი)

## ირაკლი ოქრუაშვილი გეგმა „ბ“-ზე გადადის



ოქრუაშვილმა სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს ის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რომლის მიხედვითაც ცესკო-ს 22 აპრილის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

ცესკო-ს 22 აპრილის გადაწყვეტილებით, გაუქმდა გორის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, რომლის მიხედვით ირაკლი ოქრუაშვილი გორის მერობის კანდიდატად იყო დარეგისტრირებული.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოქრუაშვილის რეგისტრაციის საკითხი მას შემდეგ იქნა განხილული, რაც „სამართლიანი საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა, სერგო ჯავახაძემ გორის საოლქო კომისიის განკარგულება გაასაჩივრა, იმ მოტივით, რომ ირაკლი ოქრუაშვილს, კანონის შესაბამისად, ბოლო ორი წელი საქართველოში არ უცხოვრია.

თავდაცვის ყოფილი მინისტრისთვის, ირაკლი ოქრუაშვილისთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა.

„როდესაც პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა სამართალს, ყოველთვის იმარჯვებდა პოლიტიკა. დღესაც არ მქონია ილუზია, რომ სასამართლო სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა. პარასკევს გამოვაცხადებთ გეგმა „ბ“-ს, ანუ გამოვაცხადებთ, ვის დავასახელებთ კანდიდატად და ვნახოთ, ღარიბაშვილის ფალავანი როგორ მოუგებს ჩემს ფალავანს“, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა. (თაიმერი)

## ბოლო 6 წლის მანძილზე სამუშაო ადგილზე 273 ადამიანი დაიღუპა, 500-მდე კი მძიმედ დაშავდა



პროფკავშირების გაერთიანებამ დღეს ეკონომიკის სამინისტროსთან სამუშაო ადგილებზე დასახიჩრებულთა და დაღუპულთა საერთაშორისო დღე აქციით აღნიშნა.

ეკონომიკის სამინისტროსთან პროფკავშირების წარმომადგენლებმა ქვეყანაში შრომის ინსპექციის გაუქმება გააპროტესტეს და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების გატარება ითხოვეს.

პროფესიული კავშირის გაერთიანების თავმჯდომარის, ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, 2007 წლიდან 2013 წლამდე სამუშაო ადგილებზე 273 ადამიანი დაიღუპა, 486 ადამიანმა კი მძიმე საწარმოო ტრავმა მიიღო. მისივე თქმით, ეკონომიკის სამინისტროში არსებობს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია, რომელიც მუშაობის ტექნიკურ პირობებს ამოწმებს და შრომითი რესურსების, სამუშაო პირობების შემოწმება მისი ფუნქცია არ არის. ირაკლი პეტრიაშვილის განმარტებით, შრომის ინსპექციის შექმნას ეკონომიკის სამინისტრო და ეკონომიკური გუნდი ეწინააღმდეგება, თითქოს იმ მოტივით, რომ შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შექმნის მოთხოვნა ინვესტორებს დააფრთხობს.

ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, ასოცირების ხელშეკრულება 18 ევროდირექტივას ითვალისწინებს, რომლის შესრულებაც საქართველოსთვის სავალდებულოა.

აქციის დასრულების შემდეგ, პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლებმა ქაშუეთის ეკლესიაში გადაინაცვლეს, სადაც გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს. (ინტერპრესნიუსი)

მურატ ილდირიმი დიმიტრი ცინცაძის ფონდთან ითანამშრომლებს

ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად საქართველოში ცნობილი თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი ჩამოვიდა. მსახიობი აქტიურ თანამშრომლობას აპირებს დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდთან, რათა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს დაეხმაროს.

„მიხარია, რომ საქართველოში ვიმყოფები და თქვენს ქვეყანაში პირველად ასეთი კარგი საქმის გამო ჩამოვედი. მე ფონდთან აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებ. ეს ის საქმეა, რომელშიც ყველა უნდა გავერთიანდეთ“, – განაცხადა მსახიობმა. მსახიობმა იაშვილის კლინიკაში მყოფი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებიც მოინახულა. (ფრონტნიუსი)

# ვინ დაბლოკა პარლამენტიდან პროკურატურისთვის გადასაცემი სკანდალური დასკვნა?



მამუკა ჩხეიძე

„დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრმა, გია კობახიძემ პარტიის საფინანსო-ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელ მამუკა ჩხეიძესთან ერთად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წელს გაწეული საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაზე ისაუბრა. მისი თქმით, კომისიის ანგარიშში რამდენჯერმე ნათლად არის აღნიშნული, რომ აუდიტის სამსახურის საქმიანობა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კუთხით ისეთი ხასიათის დარღვევებს შეიცავდა, რომელთა სამართლებრივი შეფასება აუცილებლად სამართალდამცავი ორგანოების მიერ უნდა მომხდარიყო, თუმცა აღნიშნული მასალები უკვე თითქმის წელიწადია, საქართველოს პარლამენტს პროკურატურისთვის გადაცემული არ აქვს. კობახიძე ეჭვობს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გარიგებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ამ ურთიერთობამ კომპლექსური ხასიათი შეიძინა.

ვინ დაბლოკა აღნიშნული ანგარიშის გადაგზავნა საქართველოს პროკურატურაში? რა დარღვევებზეა საუბარი, როცა უწყებას ჯერ ლევან ბეჟაშვილი, მოგვიანებით კი ლაშა თორდია ხელმძღვანელობდნენ?

**„ალიას“ ესაუბრება „დემოკრატიული მოძრაობის“ საფინანსო-ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი მამუკა ჩხეიძე:**

– მე შევისწავლე დასკვნა, რომელიც მოამზადა პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ. დასკვნაში საუბარია რამდენიმე ტიპის დანაშაულზე, ესენია საბიუჯეტო თანხების შეგნებულად გაფლანგვა, სამსახურებრივი გულგრილობა და კორუფცია. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ყოველ წელს ხდებოდა შტატების მასიური დაუკომპლექტებლობა. ისეთ მასშტაბებზეა საუბარი, რომ 45%-ზე ადიოდა შტატების ვაკანსიები, რომელიც ქმნიდა ხელოვნურ საპრემიო ფონდს. ამ ფონდის საშუალებით აუდიტის სამსახურში ჩნდებოდა თავისუფალი თანხები და შემდეგ ამ თანხებს თვითონვე ირიგებდა სტაფი. თანხა მხოლოდ სტაფზე რიგდებოდა და არა იმ რევიზორებსა და აუდიტორებზე, რომლებიც მუშაობდნენ და რეალურად ქმნიან პროდუქტს. მათზე არანაირი თანხა არ მიდიოდა. მხოლოდ ხელმძღვანელობა ან ადმინისტრაციის პრივილეგირებული ხალხი ირიგებდა ამ თანხას. ეს ერთი საკითხი. მეორე საკითხია გახმაურებული ამბავი, რომელიც ჟურნალისტ ლაშა ხარაზიშვილს ეხება, რომელიც აუდიტის სამსახურის პარალელურად მუშაობდა ტელეკომპანია „იმედშიც“. „იმედში“ მუშაობის პარალელურად, ხარაზიშვილმა 2009-1012 წლებში აუდიტის სამსახურში ანაზღაურების სახით მიიღო 89 ათასამდე ლარი და ეს აღნიშნულია დასკვნაში, როგორც დარღვევა, ვინაიდან ხარაზიშვილი საბიუჯეტო ორგანიზაციაშიც იღებდა თანხას და კერძო სტრუქტურაშიც, რასაც კანონი კრძალავს. აუდიტის სამსახურს ჰყავდა ასევე სხვა პრივილეგირებული თანამშრომლებიც. მაგალითად, იყო ერთი ქალბატონი, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში სამი საბუთი დაეწერა (საბუთის დაწერა ნიშნავს, როდესაც ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური კონკრეტულ დავალებას გასცემს მომსახურე თანამშრომელზე კონკრეტული დავალების შესასრულებლად, რაშიც მას ყოველთვიური სარგოს გარდა ერიცხება პრემია. - შ.გ.). პირველი საბუთი დაეწერა პირველ მაისს, გამოდის სამუშაო შესრულება დაიწყო ამ დროს და წარმოიდგინეთ მარტისა და აპრილის პრემიები აქვს აღებული 6 800 ლარის ოდენობით.

**— ეს ცნობილი ქალბატონია ვინმე?**

– გახლავთ. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი და დეპუტატ მარიამ საჯაიას დედა ნაზი არონია. არონიას მსგავსად, ასობით ადამიანი იყო ასე დასაქმებული.

**— კიდევ რა სახის დანაშაულზეა საუბარი დასკვნაში?**

– საუბარია ასევე, სარემონტო ხარჯებზე. დეტალებში რომ აღარ შევიდეთ, ავიღოთ პირობითად რემონტი. ორი რემონტია ნახსენები დასკვნაში, ერთი დაჯდა 1 მილიონ 600 ათასი, ხოლო მეორე – მილიონნახევარი. ახლა ყველაზე საინტერესოს გეტყვით, თქვენი მკითხველი მიხვდება, რადგან რემონტი ყველას გაუკეთებია. ავიღოთ ყველაზე კარგი რემონტი, რასაც ევრორემონტს ეძახიან, ზოგადად რა ჯდება ამ ტიპის რემონტი კვადრატული მეტრის მიხედვით? საუკეთესო რემონტი ჯდება კვადრატულობაზე 300, მაქსიმუმ 400 დოლარი. აუდიტის სამსახურის ერთ ობიექტის რემონტი დაუჯდა 2 400 დოლარი, ვგულისხმობ კვადრატულ მეტრს. დავუშვათ, ობიექტი არის 200 კვადრატული, გაამრავლეთ 2 400 დოლარი 200-ზე და რა თანხას მიიღებთ, ნახავთ. ეს არის არნახულად გაბერილი თანხა. ამ შენობებისთვის კი სამშენებლო მასალის შეძენა პირდაპირი მიყიდვის წესით არ მომხდარა, ჩატარდა გამარტივებული ტენდერი, რომელშიც გამარჯვებული ფირმა იყო კომპანია, რომლის მესამედის მფლობელიც იყო ირაკლი ჩიქოვანი, მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელი რომ იყო, შვებულებაში რომ გავიდა და აღარ დაბრუნებულა, სწორედ ის.

**— პარლამენტმა დასკვნა დადო, თუმცა შემდგომი რეაგირებისთვის პროკურატურაში არ გადაუგზავნია, რატომ?**

– ჩვენ ამჟამად აუდიტის სამსახურს არ ვედავებით, არ არის ჩვენი კომპეტენცია, რომ მათი დანაშაულებრივი ქმედებები გამოვიძიოთ, ჩვენ პრეტენზია გვაქვს პარლამენტის დროებით კომისიასთან, ასევე, საქართველოს პარლამენტის სპიკერატთან, რადგან სწორედ მათი მოვალეობაა დადებული დასკვნის გადაგზავნა პარლამენტში. თოთხმეტი წე-



**„მეორე საკითხია გახმაურებული ამბავი, ჟურნალისტ ლაშა ხარაზიშვილს ეხება, რომელიც აუდიტის სამსახურის პარალელურად მუშაობდა ტელეკომპანია „იმედშიც“. „იმედში“ მუშაობის პარალელურად, ხარაზიშვილმა 2009-1012 წლებში აუდიტის სამსახურში ანაზღაურების სახით მიიღო 89 ათასამდე ლარი“**

*გაგრძელება*
*მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პანკისელები ხელისუფლებას სთხოვენ, საქართველოში დაკავებული ჩრდილოკავკასიელები რუსეთს არ გადასცეს



პანკისელების ინფორმაციით, ოფიციალური თბილისი რუსეთისთვის საქართველოში დაკავებული ჩრდილოეთ კავკასიელების გადაცემას გეგმავს. საუბარია ორ ჩრდილოეთ კავკასიელზე, რომლებიც ამ დროისთვის სხვადასხვა ბრალდებით პასუხისგებაში არიან მიცემულნი, კერძოდ, მიკაილ კადიევსა და იუსუფ ლაკაევზე. ორივე შემთხვევაში რუსეთმა საქართველოსგან მათი ექსტრადიცია მოითხოვა. კადიევს რუსეთში დეპუტატის მკვლელობა ედება ბრალად, თუმცა თავად აღნიშნულთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს, ლაკაევს კი – ოკუპირებულ აფხაზეთში რუსი დიპლომატის მკვლელობა. თავად ლაკაევის პოზიცია უცნობია. საქართველოში კი ორივე სხვა ბრალდებებით იყო დაკავებული: კადიევი, თავის ბიძაშვილთან ერთად, იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის გაასამართლეს, ლაკაევი კი – პოლიციისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. აღსანიშნავია, რომ კადიევმა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების თხოვნით მიმართა, თუმცა უარი მიიღო. ამის მოტივად სამინისტრომ რუსეთის პროკურატურისგან მიღებული პირობა დაასახელა იმის შესახებ, რომ ექსტრადირების შემთხვევაში კადიევის უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი. ამჟამად ეს გადაწყვეტილება სასამართლოშია გასაჩივრებული. პანკისელების ინფორმაციით, კადიევისა და ლაკაევის რუსეთისთვის გადაცემა იმ სამი ქართველის სანაცვლოდ იგეგმება, რომლებიც რუსეთში საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის იხდიდნენ სასჯელს. ორი მათგანი რუსეთმა რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლა, მესამეს განთავისუფლების თაობაზე კი ინფორმაცია აბაშიძე-კარასინის ბოლო შეხვედრის შემდეგ გაჟღერდა.

„ეს სულაც არ ყოფილა პოლიტიკური ნება. რუსეთი ითხოვს ჩვენი ბიჭების გადაცემას და გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველო ამას გეგმავს, რაც დაუშვებელია. ყველამ კარგად იცის, რა ბედი ელით ჩრდილოეთ კავკასიელებს რუსეთში, მით უფრო – მათ, ვინც რუსეთის პოლიტიკას ეწინააღმდეგება“, – აცხადებენ პანკისელები და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, „ეს სამარცხვინო ნაბიჯი არ გადადგას“. აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმაც დააფიქსირა.

„ჩემთვის ცნობილია, რომ რუსეთისგან იყო მოთხოვნა იგივე კადიევზე, ლაკაევზე, რამდენიმე ჩეჩენზე, რომლებიც დღეს საქართველოს ჰყავს დაკავებული სხვადასხვა დანაშაულისთვის და ამ საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება. შესაძლო გადაცემასთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა მიმართვა პროკურატურისადმი, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას ვაძლევდით რეკომენდაციას, თავი შეეკავებინა ამ პირების რუსეთისთვის გადაცემისგან, რადგან იქ არსებობს რისკები მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის“, – განაცხადა სახალხო დამცველმა. (ფრონტნიუსი)

## მე-15 სკოლის მოსწავლეთა მშობლები სკოლის ფუნქციონირებას ითხოვენ



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, „ნაძალადევის“ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თამარ კორძაია მე-15 საჯარო სკოლის საკითხის შესწავლას ითხოვს. როგორც კორძაიამ განაცხადა, ამ დროისთვის მის სახელზე პარლამენტში 1000 მშობლის ხელმოწერაა შესული, რომლებიც სკოლის ფუნქციონირებას ითხოვენ.

„მე შევიტყვე დღევანდელი პრესკონფერენციის შესახებ, რომელიც მე-15 საჯარო სკოლის პედაგოგებმა გამართეს და მინდა ვთქვა, რომ ეს არის ის პრობლემა, რომელსაც მე არჩევნებამდე ვეცნობოდი. ამ დროისთვის ჩემს სახელზე პარლამენტში 1000 მშობლის ხელმოწერაა შემოსული და ისინი სკოლის აღდგენას ითხოვენ. 1000 მშობლის უკან დგას 1000-ზე მეტი ბავშვი, რაც საკმარისია, რომ ამ სკოლამ მუშაობა განაახლოს. დღეს ეს სკოლა ეკონომიკის სამინისტროს ბალანზეა და მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა გადაიხედოს“, – განაცხადა კორძაიამ. (კვირა)

## საქართველოს სამხედრო ძალებში იუნკრები ბრუნდებიან

„საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული და პარლამენტის მიერ დამტკიცებული „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომლის თანახმადაც, სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებიც ამჟამად „მსმენელად“ იწოდებიან, იუნკრები დაერქმევათ.

ცვლილება განხორციელდა როგორც აღნიშნულ კანონში, ასევე ყველა სხვა საკანონმდებლო აქტში და იქ, სადაც ტერმინი „მსმენელი“ წერია, „იუნკერმა“ ჩაანაცვლა. (ინტერპრესნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

ლია საფინანსო სისტემაში ვმუშაობ, მაგრამ იშვიათად მინახავს ამ ტიპის დარღვევები. ახლა კი გამოდის, ადგილი აქვს ამ მასალების დამალვას.

— **დანაშაულის დაფარვა ხომ მეორე დანაშაულია?**

– რა თქმა უნდა, დანაშაულიც და მისი დაფარვაც ორივე არის სისხლის სამართლის დანაშაული.

— **ვინ არიან ის დეპუტატები, რომლებიც დროებითი საპარლამენტო კომისიის შემადგენლობაში იყვნენ და რომლებმაც პასიურობა გამოიჩინეს ამ საკითხთან დაკავშირებით?**



ნოდარ ებანოიძე

**„დეტალურად არ მახსოვს ნამდვილად, კომისიის თავმჯდომარე იყო ნოდარ ებანოიძე. თუმცა ეს ნოდარ ებანოიძის პრობლემა არ არის, ეს არის პარლამენტის სპიკერატის პრობლემა და პარლამენტის ხელმძღვანელობის“**

– დეტალურად არ მახსოვს ნამდვილად, კომისიის თავმჯდომარე იყო ნოდარ ებანოიძე. თუმცა ეს ნოდარ ებანოიძის პრობლემა არ არის, ეს არის პარლამენტის სპიკერატის პრობლემა და პარლამენტის ხელმძღვანელობის.

— **დასკვნის მიხედვით რა თანხების გაფლანგვაზეა საუბარი?**

– ასი ათასობით. ბუნებრივია, რომ კომისიას ყველა საკითხი არ შეუსწავლია და აქ საუბარია მხოლოდ 2012 წელზე, წინა წლებში რა ხდებოდა, არავინ იცის ასე დეტალურად. ვინაიდან ყველა დოკუმენტი არ არის შემოწმებული. არ ავიღებ ზედმეტ პასუხისმგებლობას და გეტყვით, რომ ასი ათასობით ლარზეა საუბარი, თუმცა თუკი დეტალურად იქნება შესწავლილი მათი საქმიანობა, მხოლოდ 2012 წელს არამიზნობრივად გახარჯული თანხა მილიონსაც თავისუფლად გადააჭარბებს. ისიც გავითვალისწინოთ, რომ კომისიის მუშაობაც სოლიდური თანხა დაჯდა. ამ კომისიამ ხომ დაიქირავა სპეციალისტები, როლებმაც ეს საკითხები შეისწავლეს? ათი ათასობით ლარი დაჯდა კომისია, რომელმაც დადო დასკვნა და თუკი ამ ყველაფერს რეაგირება არ მოჰყვება რა გამოდის? ცალკე კიდევ საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯა უშედეგოდ? ჩვენ მივწერეთ წერილი პარლამენტის თავმჯდომარეს და დაველოდებით რეაგირებას. გარდა ამისა, ვგეგმავთ მივწეროთ მთავარ პროკურორს ოფიციალური წერილი, რომ დაინტერესდეს ამ საკითხით.

**რატომ არ გადაიგზავნა დასკვნა პროკურატურაში? „ალია“ დაუკავშირდა დეპუტატ ნოდარ ებანოიძეს:**

– როდესაც დასკვნა მომზადდა და დასამტკიცებლად გავიტანეთ, რათა მას იურიდიული სტატუსი მისცემოდა, სხდომაზე არ გამოცხადდა „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრი. ჩვენი მხრიდანაც არ იყო ერთი ადამიანი, ამის გამო ვერ დამტკიცდა ანგარიში. ამის შემდეგ უკვე ვადებს ვცილდებოდით. რეგლამენტის თანახმად, როდესაც ვერ მტკიცდება ანგარიში, ამის შემდეგ უკვე პლენარულ სხდომაზე გამოაქვს კომისიის თავმჯდომარეს და ფასდება კომისიის მუშაობა.

— **დასკვნა, ოფიციალური დოკუმენტი, სადაც დარღვევები იყო, ის რატომ არ დამტკიცდა?**

– როდესაც კომისია ამოწურავს მუშაობის ვადებს, მისი მუშაობა უნდა შეფასდეს. რადგან კომისიის მუშაობის ფარგლებში ვერ შედგა კვორუმი, უკვე პლენარულზე გავიდა ჩვენი მუშაობის შედეგები.

— **რა ბედი ელის დასკვნას, სადაც კონკრეტულ დანაშაულზეა საუბარი? გარდა ამისა, ამ ანგარიშის მოსამზადებლად ბიუჯეტიდან გამოიყო ათი ათასობით ლარი და გამოდის ტყუილად, რადგან დოკუმენტს იურიდიული სტატუსი არ აქვს, რის გარეშეც პროკურატურაში ვერ გადაიგზავნება. როდის მიიღებს იურიდიულ სტატუსს დოკუმენტი?**

– მასე დეტალურად იურიდიული საკითხები არ ვიცი.

კომენტარისთვის „ალია“ დეპუტატ ლევან ბეჟაშვილს დაუკავშირდა, რომელიც 2012 წელს აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი იყო: „ეს ანგარიში ერთი წლის წინათ მომზადდა და ვერ ვხვდები, ახლა რატომ წამოიწია ამ თემამ. ამას გარდა, კომისია თავიდანვე პოლიტიკური ნიშნით იყო დაკომპლექტებული და არავისთვის არ იყო მოულოდნელი, რომ ისეთ დასკვნას დადებდნენ, როგორიც დადეს. კონკრეტულად არ ვიცი, რა დანაშაულის ნიშნები იკვეთება აუდიტის სამსახურის საქმიანობაში 2012 წლისა, არ გავცნობივარ დასკვნას. ერთადერთი ვიცი, რომ საუბარი იყო სტრუქტურაში „პრივილეგირებულ“ ადამიანებზე. მინდა გითხრათ, რომ უწყებაში ვინც საქმეს აკეთებდა, ესენი იყვნენ სწორედ ეს „პრივილეგირებული“ ადამიანები. სწორედ ამ ადამიანების დამსახურება იყო უწყების წარმატება. მე არ ვიცი, რაზე საუბრობს კომისია, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, რომლებიც მუდმივად პოზიტიურ შეფასებას აძლევდნენ აუდიტის სამსახურის მუშაობას. თუკი ასეთი სისხლის სამართლებრივი დანაშაული გამოიკვეთა აუდიტის სამსახურის 2012 წლის საქმიანობაში, კი ბატონო გადააგზავნონ პროკურატურაში დასკვნა და გავცემ ნებისმიერ შეკითხვას პასუხს“.

**მოუხსნის პარლამენტი ბეჟაშვილს იმუნიტეტს, თუკი პროკურატურა საქმეს აღძრავს?**

**ვახტანგ ხმალაძე,** **იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:**

– კომისიას რომ მიეღო გადაწყვეტილება, წარედგინოს პარლამენტს დასკვნა, რომ ამა და ამ საქმეებზე არის დანაშაულის ნიშნები და გადაეცეს პროკურატურას, მაშინ ამაზე პარლამენტს უნდა ემსჯელა და ან დასთანხმდებოდა, ან უარს იტყოდა. თუმცა არაფერი უშლის ხელს პროკურატურას იმაში, რომ მხოლოდ ანგარიშის მიხედვითაც დაიწყოს საქმეზე მოკვლევა. კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები გამოქვეყნდა პარლამენტის საიტზე. ამიტომ თუკი ამ უკვე საჯარო ინფორმაციაში პროკურატურა დაინახავს დანაშაულის ნიშნებს, საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყონ მოკვლევა. გააჩნია, რა ტიპის გამოძიება დაიწყება. თუ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე ფაქტის გამო, ან თუ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე კონკრეტული პირის წინააღმდეგ. ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ხდება გამოძიება, მანამ სანამ გამოიკვეთებიან დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები და შემდეგ საქმის აღძვრა იწყება უკვე კონკრეტული პირების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაშიც კი პარლამენტის წევრი არ არის დაცული იმუნიტეტით, როცა საქმე ეხება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაწყებას. იმუნიტეტი ირთვება მხოლოდ მაშინ, თუკი პროკურატურამ მოითხოვა აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება დაპატიმრების სახით, ან თუ მოითხოვა ჩხრეკა. ამ შემთხვევაში სჭირდება პროკურატურას პარლამენტის თანხმობა.



**დაინტერესდება თუ არა პროკურატურა კომისიის მიერ მომზადებული ანგარიშით?**

**„ალია“ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თემურ დოლიძეს დაუკავშირდა, თუმცა მან განგვიცხადა, რომ კომისიის დასკვნას არ იცნობს და კომენტარს ვერ გააკეთებს.**

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყავის ჭიქით ინტერნეტთან დაკავშირება გახდება შესაძლებელი

ფინეთში გამოვა ყავის ჭიქები, რომლებიც მფლობელს ინტერნეტში შესვლის საშუალებას მისცემს. ჭიქა, რომელიც სმარტფონთან იქნება დაკავშირებული, ინტერნეტში შევა.

სასიამოვნო გაჯეტი ფინეთის მსხვილმა ყავის კომპანიამ შეიმუშავა. როგორც ჭიქის შემქმნელები აცხადებენ, ნივთში ჩამონტაჟებულია ეკრანი და Bluetooth-ის მოდული, რომლის საშუალებითაც მოწყობილობა სმარტფონს უკავშირდება.

ეკრანი რეაგირებას ჭიქაში ცხელი წყლის ჩასხმის შემდეგ მოახდენს – ცხელი სითხისგან მიღებული ენერგიის წყალობით, მონიტორი ჩაირთვება. ჭიქის პატრონს Bluetooth-ი ეკრანზე ნებისმიერი ხასიათის გამოსახულების განთავსების შესაძლებლობას მისცემს.

როგორც კი სმარტფონი Bluetooth-ისგან სიგნალს მიიღებს, ინტერნეტთან დაკავშირება მოხდება. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ყავის ტემპერატურის გაგება და იმის შეფასება, სასმელი რამდენად ცხელია ან ცივი.

შემქმნელები ჯერჯერობით ჭიქის გამოყენების დამატებით ინსტრუქციას არ ასაჯაროებენ. არ არის გამორიცხული, რომ ახალ გაჯეტს ფუნქციები დაემატოს. ჭიქა 2015 წლიდან გაიყიდება.

ცნობილია, რომ ფინელები ყავის მოხმარებით მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან. მსოფლიოში ერთი ადამიანის მიერ, წელიწადში მოხმარებული ყავის საშუალო მაჩვენებელი 5 კგ-ა, ფინეთში კი ეს რიცხვი 12 კგ-ს აჭარბებს. (თაიმერი)

## ვასო ფხაკაძემ ცოლი შეირთო



ცნობილი შოუმენის, „კომედი შოუს“ წევრის, ვასო ფხაკაძის რჩეული თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, 21 წლის მოდელი ლიკა მეტრეველია. მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. წყვილი ანტალიაში, საქორწინო მოგზაურობაში გაემგზავრა.

როგორც ახლობლები ამბობენ, დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად (16 წელი), ისინი ერთმანეთს არაჩვეულებრივად უგებენ და ძალიან ბედნიერები არიან.

ლიკა მეტრეველი სილამაზის კონკურსის „მის საქართველო 2012“-ის პირველი ვიცე-მისი გახდა და „ელიტ მოდელ ლუქის“ გამარჯვებულის სტატუსიც დაიმსახურა. მან თელავის №1 საჯარო სკოლა დაამთავრა და სწავლასთან ერთად სამოდელო საქმიანობასაც წარმატებით განაგრძობს. (ინტერმედია)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...

## კახი კალაძე საარჩევნო სიებში ყოფილი „ნაციონალების“ არსებობას გამორიცხავს



„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი და ვიცე-პრემიერი, კახა კალაძე აცხადებს, რომ საარჩევნო სიაში ყოფილი „ნაციონალები“ არ იქნებიან.

კალაძე არ აკონკრეტებს, გულისხმობს თუ არა მათში ირაკლი შიხიაშვილს.

„უახლოეს მომავალში წარმოგიდგენთ საარჩევნო პროპორციულ სიებს და მაჟორიტარობის კანდიდატებს, ძალიან ბევრი კანდიდატურა განიხილება. რაც შეეხება ყოფილ „ნაციონალებს“, კიდევ ერთხელ ვადასტურებ – მე ვარ პასუხისმგებელი, როგორც პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, რომ ასეთი პიროვნებები სიაში არ იქნებიან“, – განაცხადა კახა კალაძემ. (ნიუპოსტი)

## შალვა რამიშვილის შოუ კრიტიკის ობიექტი გახდა

შოუმენ შალვა რამიშვილის შოუს ირგვლივ ხმაური არ წყდება. გოგი გვახარია გადაცემის რეიტინგის ასაწევად მას ღია ეთერში გახდასა და სექსს ურჩევს.

„ასეთ მაღალ ნოტაზე რომ იწყებ სიმღერას („ნოტაში“ მუსიკალურ ბგერას არ ვგულისხმობ), მერე უფრო უნდა აწიო ხმა... მაგრამ ამისთვის ხმა არ გეყოფა, ხმას დაკარგავ ყვირილის დროს და დაგცინებენ. შალვა ვერ აიტანს დაცინვას. უკვე შექსპირის პერსონაჟი ხდება ჩემს თვალში. უგემოვნობა ფასობს, მაგრამ ერთი ცუდი თვისება აქვს, მალე კარგავს ფასს. ერთადერთი, რაც ახლა რეიტინგს აუწევს, ღია ეთერში გახდაა, ანდა პირდაპირი სექსი“, – წერს სოციალურ ქსელში გოგი გვახარია.

არაკოლეგიალურ ჟესტს უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა ინგა გრიგოლიასგან და ნინო შუბლაძისგან. რამიშვილს ხუმრობა საკუთარმა მეუღლემაც კი დაუწუნა.

„გუშინ გითხარი და დღეს კიდევ უფრო მეტად იგივე აზრზე ვარ: გიორგი გაბუნიაზე შენი „ხუმრობა“ იყო არაეთიკური, არაკოლეგიალური და სრულიად უხამსი. და ვინც ეგ „შუტკა“ მოგიწონა, ან შენი მტერია, ან გიჟია!“, – წერს რამიშვილის მეუღლე.

ატეხილ სკანდალს „ფეისბუკზე“ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამიაც გამოეხმაურა.

„მითხრეს, რაც იყო ჩემს ჟურნალისტზე და გადავახვიე. ისე მაგას რა მაყურებინებდა, უნიჭო ვადაგასული სირების ჯლანაობას...“, – ასე შეაფასა ნიკა გვარამიამ შალვა რამიშვილის პროექტი.

შალვა რამიშვილმა შოუში მაყურებელს „რუსთავი 2“-ის წამყვანის, გიორგი გაბუნიას შეურაცხმყოფელი Facebook-გვერდი წარუდგინა და დემონსტრაციულად „დაალაიქა“. (სამოქალაქო პრესა)

## ამერიკამ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები გამოაცხადა

უკრაინაში მოსკოვის პოლიტიკის საპასუხოდ, ვაშინგტონმა რუსეთის შვიდი მოქალაქისა და 17 კომპანიის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო.

ამავდროულად, სანქცირებულთა სიის გაფართოების შესახებ ევროკავშირმაც გამოაცხადა. ევროპული სია თხუთმეტკაციანია, თუმცა, მისი გამოქვეყნება სამშაბათისთვის იგეგმება.

ოფიციალური პირების ამერიკულ სიაში, რომლებზეც სანქცია გავრცელდა, არიან „როსნეფტის“ მეთაური იგორ სეჩინი, სახელმწიფო კორპორაცია „როსტექის“ გენერალური დირექტორი სერგეი ჩემეზოვი, რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი დიმიტრი კოზაკი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ვიაჩესლავ ვოლოდინი.

გარდა ამისა, სიაში შევიდნენ პრეზიდენტის პოლიტიკური წარმომადგენელი ყირიმში ოლეგ ბელავენცევი, ФСО-ს მეთაური ევგენი მუროვი და სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის ხელმძღვანელი ალექსეი პუშკოვი.

თეთრი სახლის პრესმდივნის, ჯეი კარნის თქმით, რუსეთს არაფერი გაუკეთებია, რათა ჟენევის შეთანხმება შეესრულებინა, პირიქით, ხელს უწყობდა უკრაინაში კრიზისის ესკალაციას. (ნიუპოსტი)

## თბილისში მამაკაცმა გერი მოკლა




შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა წერეთლის გამზირზე მოხდა. გოგონას მკვლელობის შემდეგ მამაკაცმა თვითდაზიანებები მიიყენა. ამჟამად ის სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება. მისი მდგომარეობა მძიმეა. (კვირა)

## მოსკოვში ე.წ კანონიერი ქურდი დააკავეს



რუსული მედიის ინფორმაციით, კრიმინალურ ავტორიტეტად აღიარებული, 34 წლის გია „გალსკი“ – გიორგი ზარანდია, დაკავებულია როგორც არალეგალი, რომელსაც ქვეყანაში ჩამოსვლა ეკრძალებოდა. გია „გალსკი“ ამ დრომდე აფხაზეთის, კერძოდ კი, გალის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მან მოსკოვში დაბრუნება ჩუმად გადაწყვიტა, რა დროსაც დააკავეს. გიორგი ზარანდია სასამართლო პროცესის გამართვამდე მოსკოვის მთავარი პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში დარჩება. (კვირა)

## ირმა ნადირაშვილი: „შიხას იმ ორგანიზაციის უფროსად ნიშნავენ, რომლის ბიუჯეტი თბილისისაზე 3-ჯერ მეტია“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით, ირაკლი შიხიაშვილი მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორად ინიშნება.

ამის შესახებ ნადირაშვილი „ფეისბუკზე“ წერს.

მისივე თქმით, ფონდის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ გადაჰყავთ.

„კალაძე ამაყად აცხადებს, რომ კოლექტიური შიხიაშვილები სიაში არ იქნებიან.

იქნებ, იმაზეც მიაწოდოთ ამომრჩეველს ინფორმაცია, რა მოლაპარაკებებს აწარმოებთ შიხიაშვილთან?

რატომ გადაწყვიტეთ მისი დანიშვნა მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორად?

ამ ფონდის დღევანდელი უფროსი ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ გადაჰყავთ. შიხას კი ნიშნავენ ორგანიზაციის უფროსად, რომლის ბიუჯეტიც თბილისისაზე 3 ჯერ დიდია.

პ.ს. ამას სჯობდა, ისევ საკრებულოში ყოფილიყო და ესვა ის ვისკი ბიუჯეტის ხარჯზე.

ყოველ შემთხვევაში მე ასეთი ინფორმაცია მაქვს“, – წერს ნადირაშვილი. (ნიუპოსტი)

## მამუკა არეშიძე: დავით ნარმანია კარგი მეურნეა




ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს – დავით ნარმანიას, ნიკა მელიას, კახა კუკავასა და დიმიტრი ლორთქიფანიძის სახით, სერიოზული კონკურენტები ჰყავს. მისივე თქმით, „ოცნება“ წინასაარჩევნოდ დიდი დიდი თანხების დახარჯვას არ აპირებს.

„ქართულმა ოცნებამ“ არც საპრეზიდენტო არჩევნებზე დახარჯა ბევრი ფული და არც ახლა აპირებს ხარჯვას, რამდენადაც მე ვხედავ, ამიტომ ფინანსური კონკურენცია არ იქნება მთავარი. მთავარი იქნება ბიოგრაფია, საქმის კეთების სურვილი და კანდიდატების ორგანიზებულობა“, – განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ექსპერტის განცხადებით, თბილისს მერად, როგორც კარგი მეურნე, ასევე კარგი პოლიტიკური ფიგურა სჭირდება.

„კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატებიდან, ვერ ვიტყვი, რომ ყველა უცნობი სახეა, რეგიონებში ზოგიერთ მათგანს საკმაოდ კარგად იცნობენ. რაც შეეხება თბილისის მერობის კანდიდატს, დავით ნარმანიას, ის შერჩეულია შემდეგი ნიშნით – კარგი მეურნეა. ნათქვამიც იყო, რომ თბილისს სჭირდება მეურნე კაცი და არა პოლიტიკური ფიგურა. მე ვთვლი, რომ თბილისის მერი როგორც კარგი მეურნე, ასევე კარგი პოლიტიკური ფიგურაც უნდა იყოს.

ნარმანიაზე ვერ ვიტყვით, რომ ის განსაკუთრებული პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ, როგორც მეურნემ, და თავისი საქმის კარგად შემსრულებელმა – თავი გამოიჩინა. მან ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რაც საზოგადოებამ არ იცის, მათ შორის ჟურნალისტებმაც“, – განაცხადა მამუკა არეშიძემ. (რეპორტიორი)

## აზერბაიჯანის პრეზიდენტმა საქართველოსა და უკრაინის ექსპრეზიდენტები მიიღო



როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალური საიტი იტყობინება, ილხამ ალიევთან შეხვედრაზე შეეხნენ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ბაქოში ღია საზოგადოებების მეორე გლობალურ ფორუმზე განიხილება. ასევე აღნიშნეს ფორუმის როლი ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში. (ნიუპოსტი)



სოფო ყარალაშვილი

# ვინ თაღლითობს „მოგებული ჯეკპოტის საქმეში“?

ვინ ითაღლითა 18 აპრილის ლოტოს გათამაშებისას – ჟურნალისტმა და „აი-ტი“ სპეციალისტმა, თუ ლატარიის ორგანიზატორმა „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“, რომლის საერთო წილის 70 პროცენტს სახელმწიფო ფლობს და „საქართველოს ფოსტა“ მართავს?

ლატარიის კომპანიის მმართველის, შპს „საქართველოს ფოსტის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორ დავით ი-ს ადვოკატი ირმა ჭკადუა ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი წაყენებული ბრალის აღიარებას არ აპირებს. ჭკადუას განცხადებით, კიბერდანაშაულის საქმეზე, რომელიც შსს-მ 26 აპრილს გახსნილად გამოაცხადა, საქმის გარემოებების არგასაჯაროების მიზნით, მას შესაბამის დოკუმენტზე მოაწერინეს ხელი, თუმცა დღემდე არ იცის, რატომ მოხდა ეს. მისი თქმით, საქმეში, რომელიც საკმაოდ დიდ ფულს ეხება, ბევრი საეჭვო გარემოება არსებობს, თუმცა გამოძიება ამ დეტალებზე საუბრის საშუალებას მას არ აძლევს: „მე ვფიქრობ, რომ კომპანია მიზანმიმართულ ქმედებებს ახორციელებს. კომპანიის დირექტორი (ლევან ჩიკვაიძე) არის დაკითხული ამ საქმეზე. მე მისი ჩვენების გასაჯაროების უფლება არ მაქვს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ძალიან საეჭვოა მისი ჩვენება. ზოგადად, საქმის გარემოებები არის ძალიან საეჭვო“, – ამბობს ირმა ჭკადუა.

შსს-ს ოფიციალური ვერსიით, დაკავებული დავით ი. ჟურნალისტ სოფო ყარალაშვილთან ერთად უკანონოდ ცდილობდა „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ჯეკპოტის დაუფლებას, რომლის ოდენობაც 561 176 ლარს შეადგენს. კერძოდ, უწყების მტკიცებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2014 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 20 საათსა და 45 წუთზე, დავით ი-სთვის ცნობილი გახდა „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პირველი კატეგორიის პრიზის მომგებიანი ციფრები – 5, 9, 15, 19, 30, 32. მან ისარგებლა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, ვინაიდან შეუფერხებელი წვდომა ჰქონდა შესაბამის სერვერთან და ხელოვნურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეცვალა კომპიუტერული მონაცემი და შექმნა უნიკალური კოდის მქონე ლოტოს მომგებიანი ყალბი ბილეთი, რომელშიც მითითებული იყო ზემოაღნიშნული ციფრები. შემდეგ ეს ყალბი ბილეთი ჟურნალისტ სოფო ყარალაშვილს გადასცა, რომელიც ჯეკპოტს უნდა დაუფლებოდა. სოფო ყარალაშვილიც და ამჟამად წინასწარ პატიმრობაში მყოფი დავით ი-ც (ადვოკატის მეშვეობით) კატეგორიულად უარყოფენ, რომ ერთმანეთს საერთოდ იცნობდნენ. ყარალაშვილი „მომგებიანი ბილეთის“ შეძენის ასეთ ისტორიას ჰყვება: „ეს ბილეთი ვიყიდე 18 აპრილს, წერეთლის გამზირზე, ჩემს სახლთან ახლოს. ეს ჯიხური ზუსტად „რესპუბლიკა ბანკის“ პირდაპირ მდებარეობს. სიგარეტს ვყიდულობდი და ხურდაში მოვითხოვე „გადაფხიკე და მოიგეს“ ბილეთი, თუმცა გამყიდველმა მითხრა, დღეს ჯეკპოტი თამაშდება და ლოტოს ბილეთი აიღეო. გამოვართვი ეს ბილეთი. შემდეგ გვიან გამახსენდა მისი არსებობა, ლოტოს გათამაშება გადახვევის რეჟიმში ვნახე ინტერნეტით და აღმოჩნდა, რომ ექვსი ციფრი დაემთხვა. იმავე ღამეს მივხვდი, რომ რაღაც თანხა მოვიგე, მაგრამ ზუსტად ვერ მივხვდი, რა თანხა. იმ ღამესვე ცდილობდა ჩემი სიძე ლატარიის კომპანიაში დარეკვას, მაგრამ არავინ უპასუხა. მეორე დღეს დავრეკე ლატარიის კომპანიაში, მომილოცეს და სამშაბათს პრეზენტაციაზე დამიბარეს. იმავე დღეს „ფეისბუკზე“ ამ კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომლისაგან მომივიდა შეტყობინება, რომელმაც ასევე მომილოცა. ორშაბათს როცა დავურეკე, ძალიან გაურკვეველი პასუხი მივიღე: ხან მითხრეს, რომ გადაიდო (დაჯილდოების ღონისძიება), ხან მითხრეს, რომ ალა-ფურშეტისთვის ემზადებიანო, მოკლედ პასუხი იყო – „არ ვიცით“. ამის შემდეგ მივმართე ადვოკატს და მასთან ერთად მივედი ლატარიის კომპანიაში საკითხის გასარკვევად, ეს მოხდა 26 აპრილს. იქიდან გამომიშვეს და დამიბარეს ორშაბათს, მაგრამ ამ ორშაბათამდე არავინ დამაცადა, იმავე დღეს დამიბარეს მოდულის შენობაში და ბრალი წარმიდგინეს“.

სოფო ყარალაშვილი ამბობს, რომ ბილეთი გამოძიებას გადასცა და ამ საკითხზე დამატებით საუბრისგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, ირმა ჭკადუა ამბობს, რომ ამ მნიშვნელოვანი მტკიცებულების შენახვა კანონის შესაბამისად არ მომხდარა და მისი ინფორმაციით, ყარალაშვილს არ დაუნახავს, როგორ დაილუქა ბილეთი: „შესაძლებელია მათ ის ბილეთი გამოცვალეს ან ნიშნები წაიშალა. ვინაიდან მის თვალწინ არ მომხდარა ბილეთის დალუქვა“.

ჭკადუას განცხადებით, საქმეში ასევე დევს იმ ჯიხურის გამყიდველის ჩვენება, რომელზეც ყარალაშვილმა მიუთითა. ადვოკატის თქმით, იგი დეტალებს ვერ გაასაჯაროებს, თუმცა ამ ყველაფრიდან ერთი რამ ირკვევა: ბილეთი ნამდვილად აღნიშნული ჯიხურიდანაა გაყიდული. სოფო ყარალაშვილის განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ კომპანიას საკმაოდ დიდი ჯეკპოტის გაცემა არ სურს და ამიტომ ხდება ეს ყველაფერი. ბრალდებული ფიქრობს, რომ საგამოძიებო უწყება კომპანიას შეჰყავს შეცდომაში. „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ წილის 70 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა, ხოლო 30 პროცენტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლექსორ კაპიტალ კორპი“ ფლობს, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. წინა ხელისუფლების პირობებში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ზემოხსენებულ კომპანიასა და დავით კეზერაშვილს შორის კავშირების თაობაზე, თუმცა ეს უკანასკნელი ამას უარყოფდა. შეკითხვას, ლატარიის კომპანიის რომელ ნაწილს გულისხმობს იგი თავის ეჭვში: სახელმწიფოს, თუ ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ „ლექსორ კაპიტალ კორპს“, ყარალაშვილი ასე პასუხობს: „ამაზე ვერაფერს გეტყვით, მე ბევრი ეჭვი მაქვს. ერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, არის ის, რომ კომპანიას ამ თანხის გაცემა არ უნდა. ვისი ინტერესებია ეს: „70 პროცენტის“ თუ „30 პროცენტის“, აი, ამაზე საუბარი ჯერ არ შემიძლია“.

ჯეკპოტთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ საქართველოს ლატარიის კომპანიის ოფიციალურ ფეისბუკ-გვერდზე ლოტოს უკმაყოფილო მოთამაშეების კომენტარები მომრავლდა. მათ მოეჩვენათ, რომ ფრაზა: „დავით ი-სთვის ცნობილი გახდა „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პირველი კატეგორიის პრიზის მომგებიანი ციფრები“ – პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია თაღლითობს და მომგებიანი ციფრები არა შემთხვევითობის საფუძველზე იყრება ლოტოტრონის მიერ, არამედ მათ კომპიუტერული სისტემა წინასწარვე განსაზღვრავს: „ლატარია იმართება 20 საათსა და 50 წუთზე. კითხვა: როგორ და რატომ გახდა ციფრები ცნობილი ბატონი დავითისთვის ლატარიის ჩატარებამდე? რა გამოდის, წინასწარ აქვთ განსაზღვრული, რომელი ციფრები უნდა ამოვიდეს?“, – წერს „ფეისბუკის“ ერთ-ერთი მომხმარებელი.

„საქართველოს ლატარიის კომპანიაში“ აღნიშნეს, რომ უახლოეს მომავალში გაიმართება პრესკონფერენცია, ან გაკეთდება განცხადება, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესს დააკმაყოფილებს.

სოფო ყარალაშვილისა და დავით ი-ს საქმეზე სასამართლოში არსებითი განხილვა 6 ივნისიდან დაიწყება. ყარალაშვილის თქმით, იგი „მოგებულ ფულზე“ უარის თქმას არ აპირებს და ბრძოლას ყველა სამართლებრივი საშუალებით გააგრძელებს. (ნეტგაზეთი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ გაფრთხილებთ:

**1. მიეცით აცილება მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს — მისი განაჩენი შესაძლოა, უსამართლო აღმოჩნდეს!!!**

**2. ყურადღებით ნახეთ სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოში“ საყიდელი პროდუქტი ხომ არ ყარს?**


რატომ დაუსვა მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ „ალიას“ ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ნაყიდი აყროლებული ქათამი 6500 ლარი

2013 წლის 11 სექტემბრის №114 „ალიაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით: „ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქციას ყიდიან“, სადაც საუბარი იყო კონკრეტულ ფაქტზე, როგორ შეიძინა „ალიას“ ჟურნალისტმა ნინო სამხარაძემ ქათამი და სახლში მიტანისას აღმოჩნდა, რომ ის ყარდა. ქათამი რომ საკვებად უვარგისი იყო და ყარდა, სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელმა გიგა ქურდოვანიძემაც დაადასტურა და მარკეტის თანამშრომელსაც არ უარყვია, რომ ქათამს სუნი ჰქონდა. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ „ფრესკომ“ სასამართლოში იჩივლა და იმის მიუხედავად, რომ ფაქტს რამდენიმე ადამიანი ადასტურებდა, 2014 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ, იმის მომიზეზებით, რომ არ არსებობდა შეძენილი ქათმის უვარგისობის ლაბორატორიული დასკვნა, „დაგვინდო და „ფრესკოს“ მიერ მორალური ზარალისთვის მოთხოვნილი 1 000 000 ლარის ნაცვლად, „ალიას“ სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის და „ფრესკოს“ საადვოკატო მომსახურებისთვის 1500 ლარის გადახდა დააკისრა. გარდა ამისა, „ალიას“ დაეკისრა, პირველ გვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა, რომ სტატიაში აღწერილი სიტუაცია სინამდვილეს არ შეეფერება. ანუ იმის მიუხედავად, რომ არსებობდა ფაქტი, რომელსაც მოწმეები ადასტურებდნენ და არ არსებობდა ფარატინა ფურცელი, მოსამართლემ ერთი ხელის მოსმით, ფაქტების გაუთვალისწინებლად დაასკვნა, რომ სახელმწიფო მოხელე გიგა ქურდოვანიძე, „ალიას“ ჟურნალისტი ნინო სამხარაძე, სტატიის ავტორი თამარ ოქრუაშვილი და ზოგადად, „ალია“ მატყუარები არიან და ამით მან ჟურნალისტებისა და გამოცემის რეპუტაცია შელახა. „ალიამ“ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

## ვინ არის მოსამართლე თამაზ ურთმელიძე?

დაიბადა 1975 წლის 11 აპრილს, ცაგერში. 1992 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. 2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1997-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწედ. 2000 წელს მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების სექტორის უფროს კონსულტანტად. 2000-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სტატისტიკისა და ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის სექტორის უფროსად. 2001-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სასამართლო პერსონალის სექტორის უფროსად. 2002-2003 წლებში იყო მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი.

2004-2006 წლებში მუშაობდა იურიდიულ ფირმა „პარტნიორის“ ადვოკატად. 2006 წლიდან არის ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2006-2009 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2009 წლიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. 2009 წლის დეკემბრიდან, ასევე, დაკისრებული აქვს მარნეულის მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილება. 2010 წლის 1-ლი ნოემბრიდან მივლინებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**ზოგადად, როგორი მოსამართლეა და რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილებები გამოაქვს თამაზ ურთმელიძეს, ამას აუცილებლად გამოვიკვლევთ, მაგრამ ჩვენ ამის შემდეგ, ნებისმიერი 100%-იანი მოსაგები საქმეც რომ გვქონდეს საქალაქო სასამართლოში, მას აუცილებლად აცილებას მივცემდით და ცუდი არ იქნება, ჩვენს რჩევას მკითხველიც თუ გაითვალისწინებს.**

**მოსამართლე ურთმელიძის გამოტანილ განაჩენს „ალიას“ ადვოკატი, ირაკლი ცნობილაძე ასე აფასებს:**

– საინტერესო აქ ისაა, რომ საქმის განხილვისას მოსამართლემ შეფასება მისცა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც მოხდა კონკრეტული ფაქტის შემდეგ. საქმე კი შემდეგშია: ჟურნალისტმა „ფრესკოში“ შეძენილი გაფუჭებული ქათამი რომ მიიტანა სახელმწიფო დაწესებულებაში, ესაა „სურსათის უვნებლობის სააგენტო“ და იქ ამ სააგენტოს წარმომადგენელმა გიგა ქურდოვანიძემ რომ ნახა და დააფიქსირა, რომ ეს პროდუქტი ნამდვილად იყო უვარგისი, ამას მოჰყვა შემოწმების გაგზავნა ჰიპერმარკეტში, რათა დარჩენილი პროდუქტი შემოწმებულიყო, მოსამართლემ ეს ფაქტები შეაფასა და დაუპირისპირა სტატიაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის შედეგადაც გამოვიდა, რომ თავად გაფუჭებული ქათმის ყიდვის ფაქტი გამოიგონა ერთმა ჟურნალისტმა, ასევე გამოვიდა, რომ ეს ტყუილი დაწერა უკვე მეორე ჟურნალისტმა და იმ სამსახურის წარმომადგენელმა, რომელსაც ევალება სურსათის კონტროლი, ასევე, განაცხადა ტყუილი. ანუ, სასამართლომ არ იმსჯელა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც უშუალოდ სტატიაში იყო მოთხრობილი. ამ ყველაფრიდან კი გამოდის შემდეგი, რომ სასამართლო ამკვიდრებს შემდეგ პრაქტიკას: ნებისმიერ გარემოებაზე, რაზეც ჟურნალისტი აკეთებს სტატიას, უნდა არსებობდეს ექსპერტის დასკვნა! სასამართლოზე მოსამართლემ პირდაპირ განაცხადა, რომ სახელმწიფო მოხელის, ქურდოვანიძის აზრი ვერ დაუპირისპირდება ლაბორატორიის მიერ გამოკვლეულ მასალას. ანუ, ეს ლაბორატორიული კვლევა იყო უკვე სულ სხვა მოქმედება, პოსტმოქმედება.

ჩემი აზრით, მოსამართლეს უნდა ემსჯელა იმ ფაქტებზე, რაც სტატიაში იყო. სხვათა შორის, მეორე მხარეს ქურდოვანიძის სიტყვები არ გაუხდია სადავოდ, მაგრამ მოსამართლემ მოპასუხედ არ დააყენა ეს პირი და არ ჰკითხა, მაშ, რატომ იცრუა? ჟურნალისტი ენდო ამ პიროვნებას და მასალა სწორედ მისი სიტყვებით გაამაგრა და რა ხდება? გაზეთს რატომ სთხოვენ პასუხს? ჩვენ მოვითხოვთ სააპელაციო სასამართლოსგან ამ გადაწყვეტილების გაუქმებას და დარწმუნებული ვარ, სამართალს მივაღწევთ.

# ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქტებს ყიდიან

**როგორია, სახლში მიტანილ თორმეტლარიან „ნედლ ქათამს“ ცელოფანს რომ შემოხსნი და ისეთი სიმყრალე გეცემა, რომ სახლის ორპირი განიავების შემდეგაც ვერ გააქრობ. სიმყრალე ახლა მეზობლებთან გავა და იქიდან ისინი რომ გამოგძახებენ, რა მოხდა, საკანალიზაციო მილი ხომ არ გაგისკდაო? არადა, ეს პროდუქტი იმ გაჩახჩახებულ და ახალ ჰიპერმარკეტში გაქვს ნაყიდი, სადაც ბევრ რამეს გპირდებიან...**

**„ჰიპერმარკეტი „ფრესკო“ ისტორიას 2012 წლიდან ითვლის, როცა ვარკეთილში „ფრესკოს“ პირველი ობიექტი გაჩნდა, 2012 წლის დეკემბერში უკვე მეორე ობიექტი გაჩნდა მუხიანში. „ფრესკოს“ ზოგადი სტრატეგია გულისხმობს განვითარებას გარეუბნებში და ამიტომ დაგეგმილია კიდევ ორი ახალი ობიექტის დამატება. ჩვენს სუპერმარკეტებში თქვენ შეგიძლიათ, გააკეთოთ არჩევანი 25000 დასახელების პროდუქტს შორის, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც ადგილობრივი მომწოდებლის მიერ, ისე „ფრესკოს“ საკუთარი იმპორტისა და წარმოების საშუალებით. ჩვენი კორპორაციული მომსახურება საშუალებას გვაძლევს, ვითანამშრომლოთ და გავუმარტივოთ შესყიდვები უკვე ათასობით კომპანიას. გვესტუმრეთ „ფრესკოში“, რომლის დევიზია „მუდმივად ახალი“! — ვკითხულობთ პრეზენტაციაში.**

**ახლა, ვნახოთ, რა ხდება სინამდვილეში. მოკლედ, ამბავი: ამ ჰიპერმარკეტების ქსელში, რომელიც მუხიანის დასახლებაში მდებარეობს, „ალიას“ ჟურნალისტმა ნინო სამხარაძემ გასულ პარასკევს, 6 სექტემბერს იყიდა ის ქათამი, რომლის სუნმაც ნახევარი მუხიანი ხომ ძირს დასცა და, როცა ჟურნალისტმა ის უკან წაიღო მარკეტში, გზაზე ლამის მთელი მუხიანის ძაღლები უკან მისდევდნენ და ეხვეწებოდნენ, სად მიგაქვს, აგერ დაგვიტოვე, მაგას ადამიანი მაინც ვერ შეჭამსო.**

სამხარაძემ საქმის კურსში სურსათის უვნებლობის სამსახურიც ჩააყენა. სანამ ოფიციალური ლაბორატორია იკვლევს აქოთებულ ქათამს, მანამდე „ალია“ მარკეტს ესტუმრა. ჩვენთან ერთად ამ ვოიაჟს დაესწრო „საქართველოს მომხმარებელთა უფლებების ფედერაციის“ თავმჯდომარე მადონა კოიძე. მოკლედ, მე და მადონა ერთად ვართ „ფრესკო ტრეიდ ჰაუზში“ და სანამ მენეჯერს ველოდებით, საკვები პროდუქტის რიგებს დავყვებით. კოიძე თავისთვის რაღაცებს ავლებს თვალს და საკონტროლო შესყიდვებს აწარმოებს. „ფრესკოს“ მენეჯერი ახალგაზრდა **ნანული დეკანოზიშვილი** აღმოჩნდა. ვახსენებ მომხდარ ამბავს და მისი პასუხი გვაინტერესებს.

**— როგორ ხდება ის ფაქტი, რომ მომხმარებელს ეუბნებით, ახალი და ცინცხალი პროდუქტი გვაქვსო და სინამდვილეში გაფუჭებულ პროდუქტს ყიდით?**

– კი, ჩვენ კამერებში გადავამოწმეთ და მალევე მოვიდა ის გოგო ჩვენთან, სააგენტომ აქედან რომ წაიღო მეორე ნიმუში, იმას არ ჰქონდა სუნი. ჩვენ ყოველ ზომას ვიღებთ, რომ მაქსიმალურად ახალი პროდუქტი იყოს ჩვენთან.

**— აბა, ის მყრალი ქათამი როგორ მოხვდა „ფრესკოში“?**

– კი, რა ქათამიც მოაბრუნეს, იმას სუნი დაჰკრავდა. ისე, თუ ღამე გააჩერებ, ქათამს სუნი აუვა.

**— კი, მაგრამ ახლა თავად არ დამეთანხმეთ, კამერებითაა დაფიქსირებული, რომ მომხმარებელმა მალევე მოიტანა უკანო? ანუ, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ მყიდველმა ის ქათამი ერთ საათში ძალით დაალპო და მერე თქვენთან იმით მოვიდა?**

– (აშკარად ირევა) ეს ყველაფერი ხომ წაღებული ჰქონდა? ვერ გეტყვით, არ ვიცი, სად დაალპო (ერიჰაა!) მე ხომ არ ვიცი, რა პირობებში ჰქონდა შენახული?

**— კი, მაგრამ დროის რა შუალედია, გავიწყდებათ?**

– კამერები ხომ გაფუჭებულს ვერ აფიქსირებს? მე იმას ვამბობ, რომ კი, სუნი დაჰკრავდა, მაგრამ ლპობა და რაღაც არ იყო. ჩვენ „მინუს“ პირობებს ვიცავთ. უვნებლობის სამსახურმა მოგვთხოვა დანარჩენი ხორცის მოტანა და იმას ასეთი სუნი არ ჰქონდა.

**— რომელი ფირმაა ამ პროდუქტის შემომტანი? რატომ არ აწერია პროდუქტს, ვინ არის მწარმოებელი და რამდენი აქვს შენახვის ვადა?**

– წარმოება არის შპს „ლიზი“. ვისია, არ ვიცი.

**— რას ჰქვია, არ იცით? მე რომ ვარ მომხმარებელი, უნდა მითხრათ, ამ „ლიზის“ რომ პროდუქტი შემოაქვს, ვისი წარმოებისაა? ზედნადები ხომ უნდა გქონდეთ, დაგველაპარაკეთ ვინმე თქვენი ხელმძღვანელობიდან.**

**სანამ „ფრესკოს“ იურისტს დაველაპარაკებოდეთ, მადონა კოიძე მესაუბრება:**

– პროდუქციის რეალიზაცია არის ბოლო წერტილი. მთავარია, პროდუქტი როგორ აქვს დისტრიბუტორს შენახული, რამდენად სწორად მოაქვს სადისტრიბუციო ადგილამდე და შემდეგ სამომხმარებლო დახლზე რომ ხვდება, იქ რამდენად სწორად ინახავენ. ეს ციკლი, ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული და არ აქვს მნიშვნელობა, სად იყო შენახვის პირობები დარღვეული. მაგრამ ხარისხის მენეჯერი, რომელიც ასეთ მსხვილ ობიექტებს კურირებს, ვალდებულია, პროდუქტს სანამ მიიღებს, შეამოწმოს. პროდუქტს უნდა ჰქონდეს სწორი ეტიკეტირება და ვიზუალურად უნდა იყოს შესაბამისობაში. თუ მენეჯერმა პროდუქტი მიიღო და დახლზე განათავსა, ის პასუხისმგებელია როგორც დისტრიბუტორისა და მწარმოებლის მიმართ, ისე თავადაც აქვს პასუხისმგებლობა პროდუქციის რეალიზაციაზე. ვერ ვხვდები, მენეჯერმა რატომ ვერ მოგვაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქციის მწარმოებელზე. კანონმდებლობით, რეალიზატორი ვალდებულია, სრულყოფილი ინფორმაცია გასცეს ხარისხსა და უსაფრთხოებაზე, ასევე მწარმოებელზე.

**— თუ მე, მომხმარებელს, პრეტენზია მაქვს ხარისხზე?**

– მაშინ, თქვენი ინტერესიდან გამომდინარე, უნდა მიმართოთ მარეალიზებელ ობიექტს, რასაც აკეთებთ, ან უნდა დაუკავშირდეთ შემომტანს. ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს შპს „ლიზი“, რომელიც ჩვეულებრივი დისტრიბუტორია, იმასთან საქმე არ გვაქვს, რადგანაც მან შემოიტანა და ჩვენ ვერ დავუმტკიცებთ, რა პროდუქტი იქნა შემოტანილი. ფაქტია, რომ სარეალიზაციოდ არის უვარგისი ქათამი დადებული. ვიმეორებ, აქ მთავარია, ის, რომ მენეჯერი ვერ გპასუხობთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

**ამ საუბარში ვართ და ჩვენთან მოდის „ფრესკოს“ იურისტი, ნატა ბუცხრიკიძე და აქ იწყება საინტერესო ამბავი. ქალბატონ იურისტს პირველი დანახვისთანავე არ მოვეწონვარ (რათა, ადამიანო?) და სურათის გადაღებაზე სასტიკ უარს ამბობს, ეგ ჩემი უფლებააო. ასევე სასტიკი წინააღმდეგია იმისა, რომ საუბარი ჩავიწერო:**

– მე მოვედი მომხმარებელთა ფედერაციის თანამშრომელთან სალაპარაკოდ და არა თქვენთან.

**— რას ნიშნავს, ჩემთან სალაპარაკოდ არ მოხვედით? მე ჩემს პირად ამბებზე კი არ უნდა გეჭორაოთ, ჩვენს თანამშრომელს შეემთხვა ეს ამბავი.**

– თქვენ ჩემთან არ შეგითანხმებიათ, მინდა თუ არა თქვენთან ინტერვიუ.

**— მოგიწევთ საუბარი, რადგანაც დამპალ პროდუქტს ყიდით.**

– მე „გამიკეთეს ინფორმირება“, მადონა კოიძეა მოსულიო და მასთან მოვედი. აქ ჩემი უფლებები ირღვევა (აუფ!), მე აქ დასაკითხად არ ვარ. თქვენ ან გამორთავთ თქვენს მოწყობილობას და მე კოიძეს დაველაპარაკები, წინააღმდეგ შემთხვევაში...

**— რა უფლებებზე მელაპარაკებით, კი, მაგრამ იმ ადამიანის უფლებები არ დაირღვა, უვარგისი პროდუქტი რომ მიჰყიდეთ? თქვენ, რასაც ვხედავ, სათქმელი არ გაქვთ, იმიტომ იქცევით ასე და ეს გასაგებია.**

– მე არ მინდა ინტერვიუ.

**— ნუ გინდათ. ისე, ეს ინტერვიუ კი არა, კომენტარია.**

– დავამთავროთ ამით. მომხმარებელთა ფედერაციამ ოფიციალურად მომწეროს და ოფიციალურად ამაზე პასუხს მიიღებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კომპანია ნამდვილად მომხმარებლის ინტერესებს იცავს და ეს ჩვენი ლაპარაკი ნუ დაიბეჭდება, თორემ სასამართლოში მოგიწევთ პასუხისგებაა.

**— უკეთესია თქვენს დამპალ ქათმებს მიხედოთ, მომხმარებელს რომ აჩეჩებთ. რა დავწერო და რა არა, ეს თქვენი გადასაწყვეტი არ არის...**

**ამის შემდეგ უკვე სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს, გიგა ქურდოვანიძეს ვუკავშირდებით:**

– „ალიას“ ჟურნალისტმა ჩვენთან მოიტანა „ფრესკოში“ შეძენილი ქათამი, ვადასტურებ, რომ ის იყო გაფუჭებული. პროდუქტს აშკარად ეტყობოდა ლპობის ნიშნები, ჰქონდა მძაფრი, უსიამოვნო სუნი და ეს იყო პირველი მანიშნებელი იმისა, რომ ეს ნამდვილად საკვებად უვარგისია. წარმოდგენილ ნიმუშს თან ახლდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ქვითარი და, შესაბამისად, ჩვენმა სამსახურმა გააფორმა შეტყობინება, რომ სათანადო სამსახურებს განეხორციელებინათ სავაჭრო ობიექტის შემოწმება, რაც იმავე დღეს მოხდა. ავიღეთ ნიმუშები და ყველაფერი გადაიგზავნა ლაბორატორიაში, რამდენიმე დღეში გახდება პასუხი ცნობილი, დამატებით კიდევ რა აღმოჩნდება. ფაქტია, ლაბორატორიის გარეშეც ჩანდა, ქათამი გაფუჭებული იყო. ჩვენებმა მაღაზიას დოკუმენტაციაც შეუმოწმეს და ნახეს ვადაგასული პროდუქცია, არა მარტო ქათამი, არამედ სხვა პროდუქტიც. ჩვენ განვიხილავთ ამ მაღაზიის არაგეგმურ შემოწმებას. ამის შემდეგ მაღაზია დაჯარიმდება და თუ აღმოჩნდა, რომ იქ არის კრიტიკული შეუსაბამობა, „ფრესკო“ დაიხურება და მათ მიეცემათ რეკომენდაციები, რომ გამოასწორონ მდგომარეობა. ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, იმის შედეგია, რომ ღამით მაცივრები ითიშება ეკონომიისთვის და ეს უნდა მოგვარდეს. საერთოდ, ასეთ სიტუაციაში დამნაშავეები არიან რეალიზატორები და არა მწარმოებლები. ამაზე კონტროლი გავამკაცრეთ და მინდა თქვენს მკითხველს მოვუწოდო თანამშრომლობისკენ, როგორც თქვენი ჟურნალისტი მოიქცა.



თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ ოფიციალურად მიმართავს იუსტიციის საბჭოს განცხადება/საჩივრით და მოვითხოვთ, განიხილონ ჩვენი არგუმენტირებული პრეტენზიები და სათანადო რეაგირება მოახდინონ.**

**ქვემოთ მოყვანილი წერილი, გაზეთის გამოსვლის დღესვე, ანუ ორშაბათს, 28 აპრილს, ოფიციალურად ჩაბარდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციას.**

# საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს!!!



## განცხადება/საჩივარი

გაცნობებთ, რომ შპს „გაზეთები ალია და კვირის ქრონიკა“ (შპს „ალია ჰოლდინგი“) წარმოადგენს მედიასაშუალებას, რომელიც არის ორი გაზეთის „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ მესაკუთრე. გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების გამო, ჩვენს კომპანიას უხდება სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, რაც ბუნებრივი პროცესია, იმის გათვალისწინებით, რომ მედიასაშუალება ემსახურება სიმართლეს, ზნეობის მაღალ სტანდარტებსა და კანონს.

2014 წლის 12 მარტს სასამართლომ (მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ) განიხილა შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ სასარჩელო განცხადება შპს „ალია ჰოლდინგის“ მიმართ და მიიღო, ჩვენი აზრით, მიკერძოებული და უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც, თავის მხრივ, ნერგავს უპრეცედენტო პრაქტიკას. აღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, მედიასაშუალების ფუნქციონირება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ექსპერტის დასკვნებს და რეალური ფაქტობრივი მდგომარეობის გადმოცემის უფლება მედიას ჩამოერთვა.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაზეთში გამოქვეყნებული მასალა აღმოჩნდა გამოგონილი, ჟურნალისტი – მატყუარა და შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი – ყალბი განცხადების გამავრცელებელი.

შედეგად მივიღეთ ცნობის გამოქვეყნების ვალდებულება, სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების ვალდებულება, ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაწესდა მედიასაშუალების ფუნქციის უკანონოდ შეზღუდვა.

ამავე დროს მნიშვნელოვანია ის საპროცესო-მატერიალური ნორმების დარღვევები, რაც ახლავს გადაწყვეტილების მიღებას.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის გამოყენებით, სასამართლო ავალებს გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტს სტატიის დასაწერად ექსპერტის დასკვნის მიღებას. მუხლის ამგვარი განმარტება არასწორია, რადგან ის მიმართულია კანონით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვისკენ. პირიქით, მე-7 მუხლი წარმოადგენს სიტყვისა და გამოხატვის უფლების გარანტს და ამ უფლების შეზღუდვის წინააღმდეგია. თუ ჟურნალისტს არ აქვს უფლება, დაწეროს იმ რეალურ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც მოხდა (მას უშუალოდ შეემთხვა, როგორც მოქალაქეს) და დავავალებთ ექსპერტიზის ჩატარებას, რომელიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია დროსთან და მერე ხარჯებთან, მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს: ყველა ფაქტი და მოვლენა უნდა გადიოდეს ექსპერტიზას და მხოლოდ ექსპერტის დასკვნის საფუძველზე გამოვიყენოთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება. ასეთი პრაქტიკის დანერგვა ზღუდავს კონსტიტუციითა და კანონით გარანტირებულ უფლებას და პირდაპირ აფერხებს მედიასაშუალებების ფუნქციონირებას.

სასამართლომ არასწორად გამოიყენა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი – საჯარო პირის ცილისწამება. აღნიშნული მუხლის თანახმად: პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად: საჯარო პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, ზოგადად, უნდა გამოეყენებინა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომლის თანახმადაც: პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა იყო არსებითად მცდარი და სასამართლომ თავად აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ წარუდგინა ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 თავით გათვალისწინებული მუხლები. კერძოდ, მოსარჩელეს ჰქონდა ორი მოთხოვნა – ცნობის გამოქვეყნება და მორალური ზიანის დაკისრება 1000 000 ლარის ოდენობით; მხოლოდ ცნობის გამოქვეყნების მოთხოვნა თავის შინაარსით წარმოადგენს არაქონებრივ დავას, რომლის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით, ხოლო მორალური ზიანის დაკისრების მოთხოვნა გამოიხატა კონკრეტულ თანხაში, რის გამოც პროცესით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრა 5000 ლარით (3%, მაგრამ არა უმეტეს 5000 ლარისა, იურიდიული პირების შემთხვევაში). შემდგომი ეტაპი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას განსაზღვრულია საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით, რომელიც არეგულირებს სასამართლო ხარჯების განაწილებას მხარეთა შორის. აღნიშნული მუხლის საფუძველზე თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლით აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მხოლოდ მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ცნობის გამოქვეყნებას, ხოლო 1 000 000 ლარის ოდენობით თანხის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კანონით გათვალისწინებული ნორმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მოქმედებები უნდა შეფასდეს კანონის უხეშ დარღვევად და მის მიმართ განხორციელდეს შესაბამისი მოქმედებები.

*შპს „გაზეთები ალია და კვირის ქრონიკა“*
*დამფუძნებელი*
***გიორგი ბრეგვაძე***

**„ასავალ-დასავალის“ მე-16 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალას, რატომღაც არანაირი მინიშნება არ აქვს, რომ ტექსტი სარეკლამოა. არადა, საოცარი და საინტერესოა, სამართლიანობის აღდგენისთვის დაუღალავად მებრძოლი ერთ-ერთი ფლაგმანი გაზეთი ასეთი თემებით, როგორც გვახსოვს, ადრე არ ინტერესდებოდა.**


სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოს“ დაბალი ფასების საიდუმლო გაშიფრულია!
16

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. „... ქომები"
2. ბოსტნეული
3. მსახიობი ... ასტერი
4. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
5. გოგოლის მოთხრობა
6. გეომეტრიული სხეული
7. ძველი ქართული სამედიცინო ენციკლოპედია
8. მსახიობი აკაკი ...
9. ნიდერლანდის დედაქალაქი
10. მისი დედაქალაქი ბაქო
11. ავსული არაბულ ზღაპრებში
12. ბავშვის საჭმელი
13. ხელმძღვანელის წარწერა დოკუმენტზე
14. ფიალა
15. ღვინო პოლ-ტურად
16. ნაქსოვი სათევზაო
17. „... ქუში-საგან"
18. რუსი საბჭოთა კლოუნი
19. ნაბოკოვის რომანი
20. ბულგარული ფულის ერთეული
21. ისლანდიის დედაქალაქი
22. იაპონიის ძველი დედაქალაქი
23. მსახიობი ... მანფრედი
24. ჩრდილოეთის ირემი
25. კენკროვანი ნაყოფი
26. ოქროს ნაჭერი
27. მომღერალი ენრიკე ...
28. მწნილი
29. ლურჯი ვეშაპის საკვები
30. კურორტი წყნარ ოკეანეში
31. ჩაის დეგუსტატორი
32. სოფელი ხაშურის რაიონში
33. ველური ცხენი
34. ფილიპინების დედაქალაქი
35. მსახ. აიშვარია ...
36. შვარცენეგერი: ...რნის ...
37. ხმის ჩამხშობი იარაღზე
38. შეხვედრა, ანუ ...
39. მომღერალი შარლ ...
40. მსახიობი ... რივზი
41. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
42. თეატრალური განცხადება
43. რეჟისორი ალფონსო ...
44. ჟამი
45. ძაღლის ჯიში
46. მწერლები ... და პეტროვი
47. მწერალი თეოდორ ...
48. მდიდრული აგარაკი
49. საქონლის შიგანი
50. მულტიპლიკატორი უოლტ ...
51. ძეხველი
52. ქარიშხალი ზღვაზე
53. ... პუგაჩოვა
54. თვითნასწავლი მხატვრობა
55. ბანდეროლი
56. ზღვის დიდი კიბორჩხალა
57. სამხ. კორეის დედაქალაქი
58. მომღერალი ... მერკური
59. დავით ნარიმანი და დავით ...
60. ამოსავლელი სახვეტელი ნაგავი
61. ცხენის ფეხის ნაწილი
62. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
63. კუნძული ეგეოსის ზღვაში
64. მწერალი ჰერბერტ ...
65. მტაცებელი თევზი ამაზონში
66. მავთული
67. პოეტი ... აბაშიძე
68. იტალიური მაკარონი
69. ნიკა რამიშვილი, იგივე ...
70. ბრინჯაოს ... ...
71. ჯოხების ჯგუფი
72. ფიზიკოსი ბლეზ ...
73. მსახ. ... ფრეინდლიხი
74. წყლის ტრანსპორტი
75. ხილი
76. ბოსფორი და ...
77. მომღერალი ... ვაიკულე
78. ქალაქი ნიდერლანდებში
79. ძვ. ბერძენი ტრაგიკოსი
80. ვერდის ოპერა
81. დოსტოევსკი. „ძმები ..."
82. აზიური არაყი
83. მისი დედაქალაქი ჰავანა
84. ექსცენტრიული ღოლი
85. აშ მდინარეში მიიღება ლა ქრისტე
86. აფრიკული ტომი
87. შოკოლადის ნაყოფი
88. ცხიმოვანი სიმსივნე
89. ძაღლის თხელი
90. შვამიანი ბაყაყი
91. მსახიობი ჯეიმს ...
92. ქალაქი აშშ-ში
93. რიცხვი 3,14
94. მონტენ ავარები ინსტიტუტში
95. რუკების კრებული
96. ხელის საგრილებელი
97. ესპანეთის დედაქალაქი
98. დიდი ბუზი
99. საფრენი აპარატი
100. აზრი
101. ფრანგ მეფეთა სასახლე
102. გოგო-ბავშვილი „... რა ჭამა"
103. ლია ფეხსაცმელი
104. თვალის გუგა
105. ვეტერინარი
106. ვინი კრის ავტორი
107. შემწვარი ხორცი
108. მინდორ-ლუიში: ოქროს ...
109. მდინარე ცხოველი
110. მდინარე კანტონში
111. იაპონური თეატრი
112. დიდი ვეშაპი ნავთობის ოქროს
113. „მაუგლი" დათვი
114. წყლის ტრანსპორტი
115. ლრმული წყნარ ოკეანეში
116. ფიზიკოსი ლევ ...
117. კალოზე გაზაფხულის ფიგური
118. ყულაბაში
119. ფირალი
120. ... და ჰერცეგოვინა
121. დასამინებელი ნაცვი
122. ბრინჯაო
123. რეჟისორი ... იოსელიანი
124. იგივე ჩამონადნობი გოლგოთიდან
125. რეჟისორი ლუკ ...
126. სარტლის აგრონომი
127. ცხენის ირემი
128. ზამთრის თვე
129. ხმლის ტარი
130. მომღერალი ... მჟავია
131. გამის ნოტი
132. კომპოზიტორი ... გაბუნია
133. კომპოზიტორი ფერენც ...
134. ცეცხლის ენა
135. მსახიობი ... კლოუზი
136. მთიდან არეკლილი ხმა
137. მდინარე იტალიაში
138. წყალსაცავი, ჩაედინება მტკვარი
139. საქმელად ვარგისი სოკო
140. სპორტის სახეობა
141. როუენ ატკინსონი მისტერ ...
142. ბრაზილიური ცეკვა
143. მსახიობი ... როთი
144. რეჟისორი ... ვან სენტი

ვინ არის ფოტოზე?

პასუხები: 1. ბაბაჯანას; 2. სტაფილო; 3. ფრედ; 4. გაბროვო; 5. „ვიი"; 6. კონუსი; 7. კარაბადინი; 8. კვანტალიანი; 9. ამსტერდამი; 10. აზერბაიჯანი; 22. ჯინი; 12. ფაფა; 13. რეზოლუცია; 14. ჯამი; 15. ნუნუა; 16. ბადე; 17. ვაი; 18. კარანდაში; 19. „ლოლიტა"; 20. ლევი; 21. რეიკიავიკი; 22. ნარა; 23. ნინო; 24. მარალი; 25. მაყვალი; 26. ზოდი; 27. იგლესიასი; 28. მარინადი; 29. პლანქტონი; 30. ნუნისი; 31. ტიტესტერი; 32. ოსიაური; 33. მუსტანგი; 34. მანილა; 35. რაი; 36. არნი; 37. მაყუჩი; 38. რანდევუ; 39. აზნავური; 40. კიანუ; 41. ურუგვაი; 42. აფიშა; 43. არაუ; 44. დრო; 45. პეკინესი; 46. ილფი; 47. დრაიზერი; 48. ვილა; 49. ჯიგარი; 50. დისნეი; 51. სოსისი; 52. ტაიფუნი; 53. ალა; 54. ნაივი; 55. ამანათი; 56. ომარი; 57. სეული; 58. ფრედი; 59. ულუ; 60. ალთე; 61. გავა; 62. მაკ; 63. როდოსი; 64. უელსი; 65. პირანია; 66. სიმი; 67. ირაკლი; 68. სპაგეტი; 69. დრუპი; 70. ეარი; 71. არვე; 72. პასკალი; 73. ალისა; 74. ნავი; 75. გარგარი; 76. დარდანელი; 77. ლაიმა; 78. მაასტრიხტი; 79. ევრიპიდე; 80. „აიდა"; 81. კარამაზოვები; 82. აზსენთი; 83. კუბა; 84. გიდი; 85. იორდანე; 86. მასაი; 87. კაკაო; 88. თია; 89. ფარატინა; 90. აგა; 91. კაანი; 92. ბალტიმორი; 93. პი; 94. აბიტურიენტი; 95. ატლასი; 96. მარაო; 97. მადრიდი; 98. ხარაბუზა; 99. დირიჟაბლი; 100. იდეა; 101. ვერსალი; 102. იავნანამ; 103. სანდალი; 104. ბაია; 105. ბეითალი; 106. მილნი; 107. სტეიკი; 108. ურდო; 109. თახვი; 110. იორი; 111. ნო; 112. კალდერა; 113. ბალუ; 114. ტივი; 115. მარიანი; 116. ლანდაუ; 117. კევრი; 118. კოლიე; 119. აბრაგი; 120. ბოსნია; 121. ბანგი; 122. რვალი; 123. ოთარ; 124. ბარაბა; 125. ბესონი; 126. ლეიბი; 127. ლოსი; 128. თებერვალი; 129. ვადა; 130. ანანო; 131. რე; 132. ნუნუ; 133. ლისტი; 134. ალი; 135. გლენ; 136. ექო; 137. პო; 138. მინგეჩაური; 139. მიქლიო; 140. კრივი; 141. ბინი; 142. სამბა; 143. ტიმ; 144. გას. იკითხება: ჯულია რობერტსი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## კამათი პრეზერვატივის ფასის გამო სიკვდილით დასრულდა



სიკვდილიცაა და სიკვდილიც – კაცი რომ პრეზერვატივს შეეწირება, ასეთ აღსასრულს მტერს არ უსურვებს არავინ.

ტრაგიკული ინციდენტი ამერიკაში, კერძოდ კი ქალაქ დეტროიტის ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე მოხდა, სადაც პრეზერვატივის მაღალი ფასის გამო მაღაზიაში დაწყებული კამათი სიკვდილით დასრულდა – შემთხვევითი გასროლით გამყიდველმა კლიენტი მოკლა.

როგორც ირკვევა, დეტროიტის მკვიდრი მაიკლ ჰეინსი მაღაზიაში პრეზერვატივის შესაძენად შევიდა, მაგრამ ფასი არ მოეწონა და გამყიდველს ჩხუბი დაუწყო.

როცა კლიენტმა გამყიდველისგან ფასდაკლებაზე უარი მიიღო, საქონლის დახლებიდან ჩამოყრა დაიწყო. პასუხად გამყიდველმა დახლს ქვემოდან პისტოლეტი ამოიღო და თავდამსხმელის შესაშინებლად დამიზნების გარეშე გაისროლა კიდეც. სამწუხაროდ, ტყვია კლიენტს მოხვდა და მისი გადარჩენა ექიმებმა ველარ შეძლეს.

გაუფრთხილებლობით მკვლელობის ბრალდებით გამყიდველი პოლიციამ დააკავა.

*etotupo.ru*

## ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების ზიანი ნარკოტიკებს გაუთანაბრეს



აბა, ისე როგორ იქნება, თვის მანძილზე ერთხელ მაინც არ შეაწუხოს ადამიანი რამის ტკივილმა? ჰოდა, ამ უსიამოვნებას რომ გავუმკლავდეთ, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების დალევა გვიწევს და გვგონია, რომ ამით შვებას მივიღებთ.

ზოგადად, ცნობილი ფაქტია, რომ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები და პრინციპში, ნებისმიერი წამალი, ადამიანისთვის მხოლოდ დადებითი შედეგების მომტანი არ არის, თუმცა ასე რთულად თუ იყო საქმე, ალბათ, ბევრი არ იფიქრებდა.

ებრაელმა მეცნიერებმა ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს ძალიან უარყოფითი რეპუტაცია შეუქმნეს და ახლავე გეტყვით, რატომ: აღმოჩნდა, რომ ამ კატეგორიის მედიკამენტების ზედმეტი დოზირებისგან წლის მანძილზე უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე მძიმე ნარკოტიკების დოზის გადამეტებისგან.

სხვათა შორის, ეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რომელიც ტკივილის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებისგან თავის შეკავებისკენ გვიბიძგებს. კვლევის ფარგლებში ებრაელმა მეცნიერებმა ასეთი დასკვნაც გამოიტანეს: ტკივილგამაყუჩებლების ბოროტად მოხმარება ჰიპერტონიისა და როგორც შედეგის – ინსულტისა და ინფარქტის რისკს ამაღლებს.

*myjane.ru*

## მეცნიერებმა გასახდომი აბების შესაძლებლობები ეჭვქვეშ დააყენეს



მოკლედ, რასაც აბის სახე აქვს მიცემული, ან უსიამოვნებას უფრო მეტად ამძიმებს ან კიდევ, ყოვლად უსარგებლო და ხრამში გადასაგდებია.

ორეგონის შტატის უნივერსიტეტის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ფართოდ რეკლამირებული გასახდომი აბები სასურველ შედეგს, პრაქტიკულად, არ იძლევა.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მსგავსი საშუალებების მწარმოებლების ყოველწლიური შემოსავალი 2,5 მილიარდი აშშ დოლარია და ეს იმის ფონზე, რომ პრეპარატები მომხმარებელს სასურველ შედეგს ვერ აძლევს. შესაბამისად, გამოდის, რომ ხალხი ფულს სულ ტყუილად ხარჯავს და ზოგ შემთხვევაში ჯანმრთელობას იზიანებს.



სულ სპეციალისტებმა გასახდომი საშუალებების ოთხი ტიპი შეისწავლეს: კომპლექსები, რომლებიც ცხიმებისა და ნახშირწყლების შეწოვას ბლოკავს, სტიმულატორები, რომლებიც აუმჯობესებს ნივთიერება ცვლას, დანამატები, რომლებიც „სხეულის შემადგელობას ცვლის“ და პრეპარატები, რომელთა ფუნქციაც მადის დაქვეითებაა.

აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, მწარმოებლებს არ ჰქონდათ ჩატარებული სრულფასოვანი კლინიკური ცდები და არც პრეპარატების ეფექტურობა იყო ბოლომდე შესწავლილი.

კვლევის ავტორები ამბობენ, რომ ძალიან ბევრ საშუალებას აქვს გვერდითი ეფექტები, დაწყებული მუცლის შემობერვიდან და გაზების წარმოქმნიდან, დამთავრებული გულის დაავადებებითა და ინსულტით.

*pronowosti.ru*

## ბრიტანელ პარიკმახერებს კიბოს დიაგნოზის დასმას შეასწავლიან



სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ დიდ ბრიტანეთში კანის კიბოს დიაგნოზს ყოველწლიურად დაახლოებით 100 ათას ადამიანს უსვამენ. უმეტეს შემთხვევაში, ისე ხდება ხოლმე, რომ დაავადება შეუმჩნევლად ვითარდება და შესაბამისად, დაგვიანებული მკურნალობა სასურველ შედეგს არ იძლევა.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ მელანომა, კანის კიბოს ყველაზე საშიში ფორმა, დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად 2500 ადამიანის გარდაცვალების მიზეზი ხდება.

ექიმები აღნიშნავენ, რომ რისკის ჯგუფში შედიან ღია ფერის კანის მქონე ადამიანები, ასევე, ისინიც, ვისაც ბევრი ხალი და ჭორფლი აქვს. დაავადების ნიშნებია სახეცვლილი ხალები, რომლებიც იწვევენ ქავილს, სისხლდენასა და ახალ ფერს და ფორმას იღებენ.

უფრო ხშირად, კანის კიბო ქალებს ფეხებზე უჩნდებათ, მამაკაცებს კი ხელებზე. შემთხვევათა 1/5 დიაგნოზის ნიშნების პოვნა შესაძლებელია თავსა და კისერზე. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, ცვლილებები ვერ შენიშნოს ვერც პაციენტმა და ვერც ექიმმა.

სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბრიტანელი სპეციალისტები გამოდიან ინიციატივით, რომ პარიკმახერებმა, როგორც ქალების, ისე მამაკაცების, გაიარონ სპეციალური მომზადების კურსები, რათა მათ კანის კიბოს აღმოჩენა შეძლონ.

– რაც უფრო დროულად მოხდება კიბოს აღმოჩენა, მით წარმატებით მოხერხდება მკურნალობა. ამდენად, საჭიროა დიაგნოზის დასმა პარიკმარებსაც შეეძლოთ, – ამბობენ ინიციატივის ავტორები, რომელთა იდეას შესაბამის უწყებებში უახლოეს მომავალში განიხილავენ.

*dr20.ru*

## რა უნდა გააკეთოთ, თუ ნოუთბუქზე ჩაი დაგესხათ?



პრინციპში, მხოლოდ ჩაი კი არა, არამედ ყავა, კომპოტი, ლუდი, შამპანური, თაფლიანი წყალი და მოკლედ, სითხე, რა.

პირველ რიგში, აუცილებელია ნოუთბუქის მაშინვე გამორთვა და აკუმულატორის ამოღება. ეს შეაჩერებს დამანგრეველ შედეგებს, რომლებიც ელექტროლიზის (კონტაქტური ველების რღვევა ელექტროქიმიური რეაქციების გავლენით) პროცესს უკავშირდება.

რაღა თქმა უნდა, არ უნდა ჩართოთ ნოუთბუქი რამდენიმე წუთში იმის იმედად, იქნებ გადარჩა და გადავრჩიო.

მოკლედ, ამოაცალეთ ნოუთბუქს აკუმულატორი და კარგადაც მოიქეცით. ახლა რაც შეიძლება სწრაფად, კომპიუტერი სერვისცენტრში გააქციეთ. თუკი ყველა „რეანიმაციული მოქმედება“ სწრაფად ჩაატარეთ, დიდია შანსი, რომ თქვენს აპარატს უშველიან.

საერთოდ, ნოუთბუქზე სითხის დასხმა, როგორც წესი, ინფორმაციის წაშლას არ იწვევს, თუ, რა თქმა უნდა, მას შლანგით არ მორწყავთ.

კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, რომ სპეციალისტების რჩევაა, სითხის გადასხმისა და გამორთვის შემდეგ, ნოუთბუქი არავითარ შემთხვევაში არ ჩართოთ და საერთოდაც, უმჯობესია, ჩაი, ყავა და თაფლიანი წყალი სამზარეულოში მიირთვათ...

*sp-service.ru*

## პუტინის პატივსაცემად... ძეხვი და შაშხი დაამზადეს




პრეზიდენტის პატივისცემას რომ ძეხვით გამოხატავ, არის ამაში რაღაც მიმზიდველი და საინტერესო.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მეზობლები სწორედ ასე ფიქრობენ და ვლადიმიროვიჩს სწორედ ასეთი პატივი მიაგეს.

როგორც ირკვევა, რუსეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ხორც-პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ „პუწინისთვის“ რომ ესიამოვნებინა, მისი „სახელობის“ ძეხვი და შაშხი გამოუშვა.

ფოტოზეც ხედავთ, როგორია ამ „ორიგინალური იდეის“ გადაწყვეტა – შაშხის შუაში ქონით არის გამოყვანილი „სლავა პუტინუ“.

რამდენად მოეწონა ვლადიმეროვიჩს საჩუქარი, აღარ ზუსტდება, თუმცა კმაყოფილები არიან როგორც მისი მხარდამჭერები, ისე ოპონენტები. თუკი პირველებს ჰგონიათ, რომ ამით ადამიანის მიმართ პატივისცემის გამოხატვა შეიძლება, მეორეები სიხარულით ხელებს იფშვნეტენ – სხვანაირად ვერაფერი დავაკელით და შევჭამთ მაინცო...

*etotupo.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– კოტე, ტელევიზიით სააკაშვილი ყველა კითხვას პასუხობს და მოდი, ჩვენც დავუსვათ რამე კითხვა.

– რა სისულელეა! მაგას კითხვები როგორც მინიმუმ, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა უნდა დაუსვას!

*****

– თუკი ოჯახური სკანდალის შემდეგ ცოლმა მოულოდნელად ყველაფერი გაპატიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შურისძიების ხერხი მოიგონა!..

*****

– ჰო, მაგრამ, საყვარელო, ეს ხომ ჩვენი შვილი არ არის?!

– ჩშშშ... რა გაყვირებს?! სამაგიეროდ, ბევრად მაგარი „კალიასკაა“!..

*****

– კოტე, შენ ჯარში მსახურობდი?

– არა, არ ვმსახურობდი. არ წამიყვანეს...

– და რატომ არ წაგიყვანეს?

– ვერ მიპოვნეს...

*****



– ოფიციანტ, რა არის ეს, ყველა კერძი რომ ცივი მოგიტანიათ?

– ჰო, მაგრამ თქვენ შეუკვეთეთ არაყი, ვინეგრეტი, „ხალადეცი“ და ნაყინი – რომელი გაგიცხელოთ?

*****

– ქალბატონო, რამდენს იწონით?

– საიდუმლოა!

– კარგით, მაგრამ პირველი სამი ციფრი მაინც მითხარით, რა...

*****

კოტე სექსოპათოლოგთან მივიდა, რომელიც მისდაგასაკვირად ქალი აღმოჩნდა:

– ექიმო, კი ძალიან მეუხერხულება თქვენთან ამის თქმა, მაგრამ 24-საათიანი ერექცია მაქვს და შეგიძლიათ, რამით დამეხმაროთ?

– რა თქმა უნდა! გადმოგიფორმებთ 4-ოთახიან ბინას ქალაქის ცენტრში, თვეში 3 ათას დოლარს გადაგიხდით და ჩიტის რძეს არ მოგაკლებთ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


უფასო სოციალური რეკლამა

## დაგვეხმარეთ, რომ ეს პატარა ანგელოზი გადავარჩინოთ!



**ქართველი ონკოლოგების მიერ გაცემული დასკვნის გამო, 3 წლის ლიზი ყაველაშვილს ჯანდაცვის სამინისტრო საზღვარგარეთ ოპერაციას არ დაუფინანსებს. არადა, უმძიმესი დაავადების მქონე ბავშვის გადარჩენის გარანტიას საქართველოში ვერავინ იძლევა, ისრაელში კი მას სიცოცხლის შენარჩუნებას პრაქტიკულად 100 პროცენტით ჰპირდებიან!**

**დრო აღარ ითმენს, 3 წლის ლიზის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება, ლიზის თქვენი დახმარება სჭირდება, პატარა ანგელოზის სიცოცხლე ახლა კეთილი ადამიანების ხელშია!!!**

**გვესაუბრება მირიან სურმანიძე, საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი:**

– ლიზი ყაველაშვილს უმძიმესი დიაგნოზი – მცირე მენჯის ღრუს სიმსივნე 2013 წლის აგვისტოში დაუსვეს. ერთადერთი თხოვნა გვაქვს ოჯახსაც და ყველას, ვინც პაწია ლიზი ყაველაშვილს ვიცნობთ და მას ვგულშემატკივრობთ, რომ ეგება ყველამ ერთად ერთი პატარა გოგოს სიცოცხლე გადავარჩინოთ.

აქაურმა ონკოლოგებმა თქვეს, რომ ოპერაციას გაუკეთებენ, მაგრამ გარანტიას ვერ იძლევიან. მათი თქმით, 1 წლის შემდეგ სიმსივნურმა წანაზარდმა, შესაძლოა, ისევ ზრდა და გადიდება დაიწყოს. ამ პასუხის შემდეგ ბავშვის მშობლები თურქეთის ცნობილ კლინიკებს დაუკავშირდნენ, იქ გადაგზავნეს ანალიზები და მონაცემები. ორი თვის მანძილზე ელოდებოდნენ პასუხს და ბოლოს შეატყობინეს, რომ თურქმა ექიმებმა თავი შეიკავეს ოპერაციაზე, მათ ოჯახს გარანტია ვერ მისცეს. ბოლოს ლიზის მშობლები უკვე ისრაელის ცნობილ კლინიკას დაუკავშირდნენ, სახელად „იმერის“ და იქაურებმა როცა ნახეს და შეისწავლეს ლიზის მონაცემები, ოპერაციას დასთანხმდნენ. კონკრეტულად, ეს გახლავთ ექიმი გვარად კუპელერი, რომელიც ამბობს, რომ გარანტიას მისცემს მშობლებს, რომ ოპერაციის შემდეგ სიმსივნე აღარ გაიზრდება და უფრო მეტიც: რომ ბავშვი აბსოლუტურად განიკურნება. მაგრამ თავად პროცედურები ისრაელში ძვირია: კვლევის ერთი სეანსი 2500 დოლარი ღირს. ბავშვს კი რამდენიმე ასეთი გამოკვლევა სჭირდება, ამას პლუს ის ფაქტი, რომ 36 000 დოლარი თავად ოპერაცია დაჯდება: ამ თანხაში რეაბილიტაციაც შედის. ანუ, წინასწარი კალკულაციით მთლიანობაში ოპერაცია დაახლოებით 45000 დოლარი დაჯდება. ერთი შეხედვით, ეს თანხა კოლოსალური არ არის, მაგრამ, რომ იტყვიან, გააჩნია, ვისთვის: ყაველაშვილების ოჯახისთვის ნამდვილად მიუწვდომელი ფულია. წარმოიდგინეთ, ოჯახში მხოლოდ მამა მუშაობს სამხერხაო საამქროში და ხელფასი 600 ლარამდე აქვს, დედა არ მუშაობს და თან პირველ აპრილს ოჯახში პატარა ნიკოლოზი დაიბადა, იმ ბავშვსაც უნდა მიხედვა და ოჯახი მხოლოდ უფლისა და ხალხის იმედზეა დარჩენილი.

ჩვენ ჯანდაცვის სამინისტროს მივმართეთ და სამინისტრო ოპერაციაზე 10 ათას ევროს უხდის ლიზის, ოღონდ საქართველოში. მაგრამ რადგანაც ონკოლოგიურმა ცენტრმა ჩაწერა დასკვნაში, რომ ლიზის ოპერირება საქართველოში შეიძლება, ოღონდ ვიმეორებ – გარანტიის გარეშე, მშობლებს ძალიან ეშინიათ.

ხალხო, ყველაზე მეტად აქ დროის ფაქტორია გასათვალისწინებელი: მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მაქსიმუმ, ორ თვეში ლიზი უკვე ადგილზე უნდა იყოს ისრაელში. ამიტომ, ვიმეორებ, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ადამიანების იმედზე ვართ დარჩენილები და მათი შემოწირულობის იმედი გვაქვს. აქვე უნდა ვისარგებლო სიტუაციით და ვთქვა, რომ თქვენი გაზეთი იყო პირველი, სადაც ამ ბავშვზე ინფორმაცია დაიბეჭდა. ახლა უკვე სხვებმაც მოგბაძეს და სხვაგანაც იბეჭდება სტატიები, მაგრამ თანხა ჯერ ძალიან მცირეა შემოსული. სამი კვირაა რეკლამას ვდებთ მედიის საშუალებებში და ჯერ თითქმის არაფერი გვაქვს ხელში: დაახლოებით 3 ათას ლარამდე მოგვიგროვდა. „მაგთის“ ერთ ზარზე 40% მიაქვს, „ჯეოსელს“ – 45%, „ბილაინს“ – 35%...

**ყველას გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლიზის მძიმე გასაჭირი და ერთად ვიზრუნოთ მისი ლამაზი სიცოცხლის გადარჩენისთვის:**

**მაგთი, ბილაინი, ჯეოსელი:**

**0901 70 00 84**

**საქართველოს ბანკი**

**GE40BG0000000774324900**

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**29 აპრილი:** ეს დღე თქვენი არ არის... რაც უფრო ნაკლებს ილაპარაკებთ და იაქტიურებთ, მით უფრო მშვიდად ჩაივლის დღე.

**კურო 22.04-21.05**
**29 აპრილი:** დღევანდელი მოვლენები მშვიდად უნდა აღიქვათ და გაიაზროთ. ემოციების გამოვლენისგან მაქსიმალურად შეიკავეთ თავი.

**ტყუპები 22.05-21.06**
**29 აპრილი:** თუ ვინმეს მიმართ რაიმე გრძნობები გაქვთ, ნუ დაუმალავთ. სწორედ ის დღეა, როცა ყველაფრის მშვიდად გარკვევა შეიძლება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**29 აპრილი:** თავს ნუ შეიკავებთ, სათქმელი აუცილებლად თქვით. მით უმეტეს, აზრის გადმოცემას იმდენად კარგად მოახერხებთ, ბევრს აღაფრთოვანებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**29 აპრილი:** იმაზე უდარდელი იქნებით, ვიდრე ოდესმე ყოფილხართ. ძალიან ფრთხილად და ყურადღებით იყავით, რამე შარში არ გაეხვეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**29 აპრილი:** შეეცადეთ, ძალიან თავგამოდებით ნუ დაიწყებთ საკუთარი აზრების პროპაგანდას. ამით სიამოვნებას ვერავის მიანიჭებთ, მომდურავს კი ბევრს გაიჩენთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**29 აპრილი:** დღეს მნიშვნელოვანი იქნება არა ის, რა იცით, არამედ, ეს ცოდნა როგორ მოიპოვეთ. ისე, საჭირო არ არის ამის შესახებ ვინმემ იცოდეს.

**მორიელი 23.10-21.11**
**29 აპრილი:** იქნებ აზრები დაალაგოთ და სანამ რამეს იტყოდეთ, დაფიქრდეთ, ღირს კი იმაზე საუბარი, რაც თავში გიტრიალებთ?

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**29 აპრილი:** ვიღაცას სასწრაფოდ დასჭირდება თქვენი დახმარება. შეიძლება ამან მთელი დღე დაგაკარგვინოთ, მაგრამ უარის თქმა არ ღირს. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დახმარება.

**თხის რქა 22.12-19.01**
**29 აპრილი:** ამბობენ, საჩუქრების ჩუქება ისევე სასიამოვნოა, როგორც მიღებაო. დიდი ალბათობით, დღეს ვიღაცას რაღაცას აჩუქებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**29 აპრილი:** დღეს თავს მარტოსულად იგრძნობთ, მაგრამ ამის გამო ნერვიულობა არ ღირს. საქმეებს მიხედეთ და ემოციებისგან დაიცლებით.

**თევზები 19.02-20.03**
**29 აპრილი:** ეცადეთ, არ აფორიაქდეთ და ყველაფერი დინჯად გაიაზროთ. თუ დეტალებს ჩაუღრმავდებით, აღმოაჩენთ მომენტებს, რომლებსაც მომავალში პრობლემების მოტანა შეუძლია.

## ჯინსებს... დეპრესიული სამოსი უწოდეს



– ჯინსების ხშირი ჩაცმა – დეპრესიის ნიშანია, – მიიჩნევენ ჰარტფორდშირის უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

მათ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ არცთუ დადებითი განწყობის მქონე ადამიანების უმეტესი ნაწილი ჩვეულებრივი ჯინსების ჩაცმას არჩევს.

ასეთი შედეგი მიიღეს სპეციალისტებმა ორივე სქესის წარმომადგენლებზე დაკვირვებისას.

დადგინდა ისიც, რომ ხალისიანი განწყობის დროს, მშვენიერი სქესის 62 პროცენტი კაბის ჩაცმაზე აკეთებს არჩევანს, ხოლო როცა გაღიზიანებული და აღრენილია, გამოსავალი კვლავაც ჯინსია.

ფსიქოლოგები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ დეპრესიისას ადამიანები არცთუ დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ გარეგნობას.

– სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ განწყობის გაუმჯობესება სამოსის შეცვლითაც კი შეიძლება, – ამბობენ კვლევის ავტორები.

*pronowosti.ru*



ტურისტების სავსე ავტობუსი უკვე რამდენიმე საათია, არ გაჩერებულა, კონდიციონერი არ მუშაობს, საშინლად ცხელა. უცბად ვიღაცამ ჰაერი მოწამლა. მგზავრებს თვალები ეწვით, ყველა ცოფიანივით გაჰყვირის: „ვინ ქნა ეს, თვალებს გამოვჩიჩქნით“. აქ ერთ-ერთი მგზავრი წამოდგა:

– ცნობილი ექსტრასენსი ვარ და იმ უნამუსოს ახლავე გამოვავლენ. უბრალოდ, ავტობუსის სიგრძის ძაფი მჭირდება.

ყველამ ბარგი მოჩხრიკა და ექსტრასენსს ძაფი მალევე მიაწოდეს.

– აბა, ახლა ყველამ გავქაჩოთ ძაფი მთელ სალონში და ყველამ მოკიდოს ხელი... ყველამ მოკიდა?

– კიიიიი...

– იმანაც, ვინც ჰაერი მოწამლა?

– კიიიიი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


## ვაკანსიები!!!

„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი



შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლის სამართლის სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.30